ოთხშაბათი, 1918 წ. ღვინობისთვის 23 № 200

წელიწადი მეოთხე

ოთხშაბათი, 1918 წ. ღვინობისთვის 23 № 200

ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

# საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 60 კაპ. უკანასკნელზე—50 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## უკანასკნელი ცნობები

ფლანდრიაში დიდი ომები სწარმოებდა.

გერმანელები დასავლეთის ასპარეზზე მოპირდაპირის იერიშებს მარჯვედ იგერიებენ.

მორავაზე გერმანელებმა სერბიელთა იერიშები მოიგერიეს.

ცაისკარის დასავლეთით სერბიელთა იერიშები ძლიერდება.

კუოზერის ორივე მხარეზე გერმანელები იმარჯვებენ.

უკრაინის კაბინეთი გადადგა. იმუშავებენ ახალ კაბინეთს.

ცარსკოე სელოში 15 ღვინობისთვეს ღამით დახვრიტეს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.

ღრმად დამწუხარებულნი ნინო გიორგის ასული შვილებით ალექსანდრა და შალვათი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, 21 ოქტომბერს, გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი შვილი, მეორესი და მესამესი ძვირფასი ძმა—პირველი ქართული ცხენოსანი ერთეულის შტაბს-როტმისტრისა

იოსებ (სოსო) კონსტანტინეს ძე

ყავრიშვილი

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე „მექევოის“ ქუჩაზე, № 23. გამოსვენება 24-ს, დილის 10 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში. დასაფლავება წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—1827—1).

ღრმად დამწუხარებულნი ივანე, დავით, ნიკოლოზ და გიორგი ყავრიშვილები ცოლშვილითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი ძმისწულის პირველი ქართველი ცხენოსანი ერთეული შტაბ-როტმისტრისა

იოსებ სოსო კონსტანტინეს ძე

ყავრიშვილისა

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, (მექევოი ქუჩა, სახლი № 23). გამოსვენება ქაშვეთის ეკლესიაში მოხდება 24-ს დილის 10 საათზე. (2—1828—1)

ღრმად დამწუხარებულნი: დედა აგრაფინა, მამა თედორე, მეუღლე ვარლამი, დედამთილი ნინო, მულები: კატო და ლუბა. მაზლები: აბესალომ, ონისიმე და ლადო გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი

ქრისტინე იაშვილი

პანაშვიდი საღამოს 6 საათიდან, გამოსვენება ოთხშაბათს, 23 ღვინობისთვეს (ახალი სტ.) დილის 10 საათზე საკუთარ ბინიდან (არაგვის ქ. № 23). დაკრძალვა პეტე პავლეს სასაფლაოზე. (1—1827—1)

დეკანოზი იოსები და ოლღა პავლეს ასული წერეთლები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ მათი უდროოდ დაკარგული უძვირფასესი შვილის

ვერა ვარაზაშვილის

მიცვალებიდან ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება სოფ. ცხრუკვეთში მიცვალებულის საფლავზე, კვირას, ღვინობისთვის 27-ს, დილის 10 ს. (3—1828—1).

ორშაბათს, 21 ოქტომბერს, ქ. თბილისში, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა ნაფიცი ვექილი

ლევან გიორგის ძე წერეთელი

რასაც გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძმა მისი, ირაკლი წერეთელი, და ელენე დემოლონი და მისი აღზრდილი დეიდები, ანასტასია და ეკატერინე ნიკოლაძეები.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს ექვს საათზე, მიცვალებულის ბინაზე, არტილერიის ქუჩა № 5. გასვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—1)

ეფროსინე იაკობის ასული ჭიჭინაძისა შვილებით ბესარიონ და თამარით, აუწერელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, 21 ოქტომბერს, ქ. თბილისში გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი დისწული და მეორეების საყვარელი დედიდაშვილი

ლევან გიორგის ძე წერეთელი

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს ექვს საათზე მიცვალებულის ბინაზე (არტილერიის ქუჩა № 5). (1—1)

ნიკოლოზ იაკობის ძე ნიკოლაძე და ოლღა ალექსანდრეს ასული ნიკოლაძისა შვილებით რუსუდან, გიორგი და თამარით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 21 ღვინობისთვეს ქ. თბილისში წყნარად მიიძინა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ პირველ დისწულმა და უკანასკნელების მამიდაშვილმა

ლევან გიორგის ძემ წერეთელმა

(1—1)

სმახატვრო სტუდია

ლადია არგონავტოვ.

გოლოვინის პროსპექტი 10. სეზონი 1918—19 წ.

დღეს, XII ციკლის ახალი პროგრამმა.

1. „მიდასის სასამართლო“ კლასიკური ხუმრობა მთელი დამსწრე საზოგადოების მონაწილეობით, თხზ. ლოლოსი, რეპერტუარი „ლამურასი“ (პირველათ ტფილისში).
2. „სევდა“ შოპენის, ინსცენიროვკა.
3. „ჯონ-ბული“ ხორეოგრაფიული მარში.
4. „ნილი“ მუსიკა ლერუსი.
5. „ანნა და სიუზანნა“.
6. „იტალიის სიმღერები“.
7. „ლადია არგონავტოვ“-ის პატე-ჟურნალი № 3.

ორკესტრს ხელმძღვანელობს თავისუფალი ხელოვანი თ. ს. კაცი, მონაწილეობენ ყოფილი სახელმწიფო თეატრის დირიჟორი ბ. ა. გესსი და ვიოლონჩელისტი ბენდიცკი.

სტუდიაში არის ამერიკანული ბარი.

დაიწყება საღამოს 8 საათზე. კასა გაღებულია 7 საათიდან. (2—1).

სახელმწიფო თეატრი

საოპერო სეზონი 1918 წლ. დირექცია [illegible]

ოთხშაბათს, ღვინობისთვის 23-ს, დაიდგმის

ბორის გოდუნოვი

ოპერა 3 მოქმედებად, მუსიკა მუსორგსკის.

მონაწილეობას იღებენ: სპიტკო, იანსა, მოროზოვისა, ოვსიანიკოვისა, ვიშემირსკისა, ბერეზინი, მოლბანოვი, ნიკოლსკი, ზუბარევი, ინაევი, საბინი, კურბატოვი, დემიანენკო და ეზროვი.

დირიჟორი სამოსუდი. — დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ხუთშაბათს 24 ოქტომბერს „ჟიდოვკა“.

მეორე ქართული კლუბი

(ყოფილი სარაჯიშვილისა. მიხეილის ქუჩა)

ხუთშაბათს, პარასკევს, შაბათს და კვირას

საქველმოქმედო მიზნით გაიმართება (5—1)

ლოტო

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

ალ. ასათიანის ნაწერი

მიწის საკითხი საქართველოში

წინასწარი დაკვეთა შეიძლება „საქართველოს“ რედაქციაში. (10—6)

ქართული წიგნთა საცავი

1918 წ. „განახლება“ 1878 წ.

გრიგოლ ჩარკვიანისა

თბილისი, ნაძალადევი, ქალ. 11 ნაწ, ხუდადაშვილის ქ. № 14, შეფელის აფთიაქის ახლოს. (3—1824—3)

კლუბი „უნიონი“

(ბასკევიჩის ქუჩა № 11).

კლუბში არის რესტორანი, სადაც მუდამ დღე, ხუთშაბათს 17 ოქტომბრიდან საღამოს 5—7 საათამდე

FIVE O'CLOCK

(3—3) ტრიო ბ-ნ სტუპელის ხელმძღვანელობით. 1820

ქართული ლატარია

5.000,000 მან.

ქართულ უნივერსიტეტის და თეატრის სასარგებლოდ

პირველი მოგება 100,000 მანეთია

ბილეთები იყიდება ყველგან, სადაც კი გამოცხადებულია. (10—7)

სტუდენტთა საკურე

ოლღას ქუჩაზე, კოოპერატივ „დახმარება“-ს გვერდზე

სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა გახსნა

პურის საცავი

პირველ ხარისხის პური 5 მან. 60 კაპ. (3—3)

ნაფიცი ვექილი

დ. გ. კვირკელია

გადმოვიდა თფილისს (გრიბოედოვის ქუჩა, 16). 10—6

## ახალი ავანტიურა

სომხეთა ზოგიერთი მოღვაწენიც-კი აღნიშნავენ ხანდისხან, რომ დღეს საქართველო ერთადერთი თავშესაფარია ომითა და თავის მეთაურების ავანტიურულ მოღვაწეობის გამო დაზარალებულ სომხის ხალხისთვის. საქართველო მართლაც შარა გზა და ღია კარებია ყველა იმათთვის, ვინც მას სომხეთიდან ევლინება გასაჭირის გამო, თუ რაიმე სხვა მიზეზით, ეს მაშინ, როდესაც ყველა მეომარ თუ ნეიტრალ სახელმწიფოებს თავის საზღვრები დაკეტილი აქვთ და თვით სურსათით მდიდარი ქვეყნები არ უშვებენ თავის ტერიტორიაზე უცხო ერთა ლტოლვილებს.

რასაკვირველია, ასეთი გულუხვობა იმ საერთო გასაჭირის დროს, რომელსაც განიცდის საქართველო, მხოლოდ პოლიტიკურ გულუბრყვილობის ნაყოფია. მეზობლური შეთვისება და დახმარება ზნეობრივად სავალდებულოა ყველა კულტუროსან ერთათვის, მაგრამ მაშინ, როდესაც ერს ასეთი სათნოების განხორციელების საშუალება აქვს და ეს მას დაღუპვას არ უქადის.

როგორ სამაგიეროს უზღავენ ერთად ერთ „თავშესაფარ“ სახელმწიფოს მისი სათნო პოლიტიკისათვის? განთავისუფლების პირველი წუთიდან, დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების დღიდან ებრძვიან მას ყოველი ღონით და საშუალებით. ებრძვიან შინ და გარეთ, ებრძვიან ფარულად და აშკარად, ებრძვიან მუდმივათ, სისტემატიურად. საქართველოს დედა-ქალაქი ასეთი ბრძოლის ცენტრად გაიხადეს საქართველოში მცხოვრებ ზოგიერთ ეროვნებათა ზოგიერთმა ჯგუფებმა, თუ საქართველოში თავშეფარებულმა პირებმა. ზოგნი ასკერების შიშით ვერ ჰბედავენ თავის სამშობლოში წასვლას და ზოგნი კიდევ ბოლშევიკების შიშით, ან კიდევ იმ მიზეზით, რომ მათ საქართველოში დარჩენა აქვთ დაკისრებული საქართველოს თავისუფლებასთან საბრძოლველად. ამ წრეებმა მრავალი თავხედური გამოსვლა, არეულობა და ამბოხებებიც კი გამართეს ჩვენს ქვეყანაში ამ მოკლე ხანში.

საუბედუროდ მთავრობა ვერ იჩენს საჭირო სიმტკიცეს ასეთს ელემენტებთან ბრძოლაში.

უთუოდ ეს გარემოება სითამამეს ჰმატებს საქართველოს თავისუფლების წინააღმდეგ დარაზმულ უცხოელებს, რომ მათი მოღვაწეობა ყოველგვარ საზღვარს სცილდება. აფხაზეთში ამბოხებას აწყობენ, ბორჩალოს მაზრაში სამხედრო ძალებით იჭრებიან, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებს დაპატრონებას ლამობენ... კიდევ მეტი— თვით თბილისში აშკარად აწყობენ თავის იარაღის საწყობებს, შეიარაღებულ ყარაულებს აყენებენ და როდესაც მილიცია მათ გაჩხრეკას მოუნდომებს, თოფითა და პულემიოტებით წინააღმდეგობას უწევენ!!

მთავრობამ უწყის ვინ ხელმძღვანელობს და მეთაურობს ამ საქმეს, მაგრამ ის დღემდე ვერ ღებულობს შესაფერ ზომებს. ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება კიდევ გაგრძელდეს და მთავრობამ ამიერიდან მაინც უნდა მიიღოს ის ზომები, რომელსაც მას ავალებს სახელმწიფოს ინტერესები.

სამწუხაროა, რომ ასეთს მუშაობას საქართველოს წინააღმდეგ ეწევიან არა მარტო რუსეთის ბატონობის ნაშთნი საქართველოში ძველ რუს მოხელეთა სახით, არამედ კიდევ უფრო ის პირები, ვინც თავიანთ თავს ჩვენი მეზობელ სომხის ერის მეთაურებად სახავენ. ამ ავანტიურისტთა მოღვაწეობამ მოუვლინა სომხის ერს ბაქოს საშინელება, მაგრამ ეს მათ საკმაო გაფრთხილებად არ მიუჩნევიათ და ახალ-ახალ ავანტიურებს განაგრძობენ ყველა მახლობელთა და შორეულთა წინააღმდეგ.

ჩვენ, რასაკვირველია, უნდა გავარჩიოთ ეს უპასუხისმგებლო ავანტიურისტები იმ ერისაგან, რომელიც მრავალ საუკუნეთა, განმავლობაში საქართველოში მხოლოდ კეთილ მეზობლურ განწყობილებას ჰპოულობდა. მაგრამ საჭიროა, რომ თვით სომხის ერმა გაარჩიოს თავის თავი ამ მისთვის საშიშ პოლიტიკურ ინტრიგანებისაგან, რომ მათი მოღვაწეობის პასუხის მგებლობა მას არ დაეკისროს.

დღეს ყველა სარგებლობს იმ სისუსტით, გაუბედაობით და რყევით, რომელსაც იჩენს საქართველოს მთავრობა, მაგრამ ამ ვაჟბატონებმა უნდა უწყოდენ რომ საქართველოს მათი ალაგმვის ძალა ყოველთვის შესწევს.

ჩვენ მოველით მთავრობის მტკიცე ზომებს იმ თავხედურ ავანტიურისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ დღეებში აქ და საქართველოს სანაპირო კუთხეებში.

## კადეტები და ამიერ კავკასიის აღდგენა.

არარატის რესპუბლიკის ჯარები რომ ახალციხე-ახალქალაქის მხარეში დაბანაკდენ და ამავე ჯარის ნაწილებმა ბამბაკისა და ლორეს ოლქები და-

იკავეს და სანაინ ქობერის სიმაღლეზედ გამაგრდნენ, რუსულ-სომხურმა პრესამ უცნაური ენით ამიერ-კავკასიის ერთიანობა გაიხსენა. სწორეთ მაშინ, როდესაც გაშიშვლებული ხმალი აიმართა ჩვენი ტერიტორიის დასაპყრობად, თბილისის რუსული პრესა შეუდგა იმის კვლევასა შეუძლია თუ არა საქართველოს დამოუკიდებლათ არსებობა.

და მოსალოდნელი დასკვნაც გამოიყვანა.

საქართველო ორგანიულად არის დაკავშირებული სომხეთ-ადერბეიჯანთან და ამიტომ:

მათი გაერთიანება უნდა მოხდეს.

როდესაც ამიერ-კავკასიის სეიმი ჯერ კიდევ მტკიცედ იყო დაცული ქართველი სოციალდემოკრატიის არტილერიით, ამ რუსების წარმომადგენელი კადეტი სემიონოვი ამტკიცებდა, რომ ამიერ-კავკასიის ერთიანობა გამოგონილი ამბავია და იგი ან უნდა დაიშალოს სამ სახელმწიფოდ, ან რუსეთს დაუბრუნდეს.

და როდესაც საქართველოს დამოკიდებლობა გამოცხადდა, ბ-ნი სემიონოვი მობრძანდა და სთქვა:

ჩვენ ვიყავით წინააღმდეგი ამიერკავკასიის რესპუბლიკისა, მისთვის, რომ მისი ერთიანობა არ გვრწამდა და მივესალმებით საქართველოს სახელმწიფოს დაარსებასო.

ბატონ სემიონოვს მაშინ არც ერთი არ სწამდა და არც მეორე, მაგრამ ის მაინც გულწრფელი იყო თავის სიტყვებში, რადგან სჯეროდა, რომ ესე დაშლილი სახელმწიფონი უფრო ადვილად გახდებოდენ რუსეთის გაერთიანების ასპარეზად.

მაგრამ სემიონოვის მადა დაუკმაყოფილებელი დარჩა და მისი აზრებიც შეიცვალენ:

რუსის კადეტებმა ამიერ-კავკასიის გაერთიანებისთვის დაიწყეს ქადაგება.

თურმე „უკანასკნელმა ამბებმა დაამტკიცეს, რომ საქართველო უაღრესად დამოკიდებულია ბაქოს ნავთისგან და სომხეთს კი, ზღვას მოცილებულს და დიდ სახელმწიფოთაგან დაშორებულს არსებობა არ შეუძლია".

უთუოდ, ეს არის მიზეზი, რომ იგი საომარი დარაზმულობით მოიჭრება ახალციხე-ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრებში!

ზღვისკენ გასავალი ამ ადგილებიდან მაინც შორს არის!

ძაღლის თავი სხვაგან მარხია:

გაზეთი „რეჩი" დღევანდელ მეთაურში სწერს:

„ოსმალეთი წავიდა და განცალკევების ერთი ფაქტორი გაჰქრა.

გერმანიაც აქ დროებითი სტუმარია და დღეს თუ არა ხვალ, შეიძლება იგი იძულებული იქნეს დასტოვოს საქართველო".

სეკრეტი სწორეთ ამონაწერშია და ეს არის მიზეზი იმ ჯარების გათავხედებისა, რომლებმაც საქართველოს საზღვრები გადმოლახეს და რუს კადეტებსაც ენა გაუგრძელა!

მაგრამ ანგარიშში შეცდენ.

საქართველო ჯერ უპატრონოდ არ დარჩენილა და ვინც მისთვის პანაშვიდებს ამზადებს, უაზრო ხარჯებში შედის.

ქართული ჯარი, რომელთა პარადი გუშინ ესოდენ ბრწყინვალე იყო, შესძლებს გააქარწყლოს ნაადრევად მოიმედეთა ფიქრები და საქართველოს მოკავშირეც ჯერ-ჯერობით არსად არ აპირობს წასვლას, რადგან ის არის სტუმარი მოწვეული და მაზედ ადრე შეიძლება იმ არა მკირხე „სტუმრებს" მოუხდეთ წასვლა, რომელნიც აბეზრად გახდენ მასპინძლებისთვის.

**ლ. ჯაფარიძე.**

## პროფ. ცუგმაიერთან

გუშინ ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა გერმანელ დელეგაციის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარეს ბ-ნ ცუგმაიერს.

### ზავის გარშემო.

**გერმანიის პასუხი ვილსონის მეორე ნოტაზედ**

თქვენ უკვე იცით, რომ ვილსონის მეორე საზავო ნოტაზედ, გერმანიის მთავრობამ პასუხი გასცა. ამ პასუხში გერმანიის მთავრობა აცნობებს ვილსონს, რომ იგი თანახმაა სრულიად შესწყვიტოს წყალ-ქვეშა ომი სამოგზაურო გემების წინააღმდეგ იმ შემთხვევაში თუ ექნება გარანტია, რომ ინგლის-საფრანგეთი ამას ბოროტად არ მოიხმარებენ და ამ გემებით საომარ მასალებს არ გაატარებენ. რაც შეეხება იმ, თითქოს ველურობას, რომელთაც გერმანელები სჩადიან დაპყრობილ ადგილებში, დატოვებულ ქალაქების განადგურებით, გერმანიის მთავრობა აღნიშნავს, რომ ამაში ინგლის-საფრანგეთს უფრო მეტი ბრალი ედებათ, რადგან მათი არტილერია ანადგურებს ამ ადგილებს და, როგორც ლორდ ჩერჩილმა განაცხადა ინგლისელები 10 ათას ტონს ესვრიან გერმანულ პოზიციებს.

ამასთან ერთად გერმანიამ წინადადება მისცა ამერიკას, რათა შესდგეს საერთაშორისო კომისია, რომელიც ყველა ამ ამბებს გამოიკვლევს და ესეთი კომისია უკვე შესდგა ქალაქ კრიუსელში.

**ჰოლანდია ზავის შესახებ.**

ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ ჰოლანდიის გაზეთების აზრით, უკეთუ შეთანხმების სახელმწიფოებმა არ მიიღეს ვილსონის მუხლი, ამერიკა სეპარატიული ზავით შეეკრება გერმანიას.

ეს არ არის ოფიციალური აზრი, მაგრამ სიმართლესთან ძალიან ახლოს არის, რადგან დღევანდელი საზავო პირობები ამერიკას დიდ გავლენას ანიჭებს ინგლისზე.

**ოსმალეთში.**

ის ხმები, რომელიც აქ გავრცელდა, თითქოს ოსმალეთი სეპარატიული მოლაპარაკებას აწარმოებდეს ინგლისსაფრანგეთთან და მათი ჯარების გაშვებას აპირებდეს დარდანელში, სიმართლეს სრულიად არ შეეფება. მიდრეკილება ზავისაკენ, რასაკვირველია არის, მაგრამ ისეთივე, როგორც გერმანიაში და სრულებით არაა სეპარატიული.

გერმანიის საიმპერატორო საელჩომ გერმანიაში დეპეშით აცნობა ჩვენს დელეგაციას, რომ ოსმალეთის მთავრობის შეცვლას არავითარი არეულობა არ გამოუწვევია და ყველა ხმები იმის შესახებ, თითქოს ოსმალეთი სეპარატიული ზავის შესახებ ფიქრობდეს, ტყუილია და განგებ არის გამოგონილი.

ფრაკიის საზღვარზე სრული სიმშვიდეა. მოწინააღმდეგის წინ წაწევა ოსმალეთის ტერიტორიაზე შემჩნეული არ არის. სირიაში, ბაალბეკთან (ალეპოის 150 კილომეტრის სამხრეთით), ინგლისელებმა შეაჩერეს თავისი ძალებით. ხომსის მიმართულებით წინ იწევს კავალერიის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი. მოსული ჯერ კიდევ ოსმალეთის ხელშია.

დამატებით დეპეშით გვატყობინებენ რომ ფრაკიის საზღვარზე გერმანიის და ოსმალეთის დიდ ძალებს მოუყრიათ თავი. სირიაში, ალეპოსთან უკვე დიდი დამხმარე ძალები მიულან და ამ ჯარებს გენერალი ლიმან-ფონ სანდერსი მეთაურობს.

**უკრაინაში**

რუსეთ-უკრაინის საზავო მოლაპარაკება შესწყდა და მოსალოდნელია, რომ რუსეთ-უკრაინის შორის ომიც გაჩაღდეს. გერმანიის ჯარებმა რუსეთის საზღვრებიდან უკრაინის შუა გულისაკენ დაიხიეს და მე ვფიქრობ, რომ უკეთუ ომი დაიწყო, გერმანელები ამ ომში არ ჩაერევიან.

**უთანხმოება საქართველოსა და სომეხთა-შორის**

სადგურ სანაინთან ქართულ სადარაჯოებთან ერთად მოთავსებულია გერმანული სადარაჯოებიც და როდესაც ამ ადგილებს მოაწიეს სომხის ჯარებმა ჩვენმა დარაჯებმა წინადადება მისცეს დაუყოვნებლივ უკან დაეხიათ, რაც სომხების მიერ შესრულებულ იქმნა. ყოველი წადილი საქართველოს ტერიტორიის გადმოლახვისა, ვისგანაც არ უნდა იყოს იგი ჩვენის მხრით უსათუოდ სასტიკ წინააღმდეგობას ჰპოებს, რადგან ჩვენ ვალდებულნი ვართ საქართველოს საზღვრები დავიცვათ და ჩვენ ვალს ვერც ულალატებთ.

სომეხთ-საქართველოს შორის მომხდარი ინციდენტი, მე ვფიქრობ, უკვე გამორკვეული იქნება, ხოლო თუ სომხებმა შეტევა განაგრძეს, ჩვენ თქმა არ უნდა საქართველოსთან ვიქნებით.

**ბაქოს საკითხი**

ოსმალეთი სტოვებს დაკავებულ ადგილებს და ბრესტ-ლიტოვსკში დადგენილ საზღვრებისკენ მიდის, მაგრამ ეს ხელშეკრულება არ ეხება ბაქოს, რადგან ოსმალებს იგი არ დაუპყრიათ, არამედ მოწვეულნი იყვნენ აზერბეიჯანის მთავრობის მიერ და ამ მოსაზრებით მას უფლება აქვს იქ დარჩენ იმ დრომდე, ვიდრე ან აზერბეიჯანის მთავრობა მას უკან არ გაიწვევს, ან საერთაშორისო კონფერენცია ბაქოს საკითხს სხვანაირათ არ გადასწყვეტს.

**თავრიზში**

თავრიზში გერმანელების კონსული ჩავიდა.

## პარტიული ცხოვრება

**ეროვნულ დემოკრატ. მოწაფეთა საყურადღებოდ.**

ტფილისის სასწავლებელთა ეროვნულ დემოკრატ მოწაფეებს ვაუწყებთ, რომ ხუთშაბათს, პარასკევს, შაბათს და კვირას ე. ი. ღვინობისთვის 24-ს, 25-ს, 26-ს და 27-ს დანიშნულია კრებები, შემდეგის წესით:

1) ხუთშაბათს, ღვინობისთვის 24-ს უნდა გამოცხადნენ პარტიულ ბიუროში (სასახლის ქუჩა) 1,2 და 7 გიმნაზიის სავაჟო და სემენარიის მოწაფენი საღამოს 6 საათზე.

2) პარასკევს ღვინობისთვის 25-ს 2 და 7 ქალთა გიმნაზიის, წმ. ნინოს და ეპარქიულ გიმნაზიის, „განათლების" და ქალთა სემენარიის მოწაფენი (აგრეთვე პარტიულ ბიუროში) საღ. 6 სათ.

3) შაბათს ღვინობისთვის 26-ს დანარჩენ სასწავლებელთა მოწაფენი (აგრეთვე პარტიულ ბიუროში) საღ. 6 სათ.

4) კვირას ღვინობისთვის 27-ს დანიშნულია ტფ. ყველა სასწავლებელთა მოწაფეთა **საერთო კრება**. სამეურნო ბანკის დარბაზში. სასახლის ქუჩა, პარტიულ ბიუროს პირდაპირ. დილის 12 სათ.

განსახილველია საორგანიზაციო, პარტიული გასულ წლის ანგარიში და სხვა.

დასწრება აუცილებელია.

**ტფ. მოწაფ. ცენტრალი კომიტეტი.**

## საპარლამენტო ქრონიკა

### ვასილ წერეთელი.

**პარლამენტის პრეზიდიუმის მოუვიდა განცხადება ეროვნული საბჭოს წევრის ვასილი წერეთლისაგან, რომ ის თავს ანებებს დამოუკიდებელ ეროვნულ დემოკრატებს და გადადის ეროვნულ დემოკრატიულ პარტიაში.**

## ქრონიკა

### თბილისი.

**პოეზიის საღამო:** ოთხშაბათს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება პოეზიის საღამო რუს პოეტების ცეხის „კალჩუგა"-სი მონაწილეობენ: პროფ. ნ. ჩერეპონი, ე. სპანიკლი, ა. კრუჩიონისი, გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, ლელი ჯაფარიძე, იური დეგენი, ი. ტერენტიევი, ილია ზდანევიჩი და სხვები.

**ბოლშევიკები შიმშილობას აცხადებენ.** მეტეხის ციხეში გრძელდება დამწყვდეული ბოლშევიკების შიმშილობა, რომელთა რიცხვს თან და თან ახლები ემატებიან. ზოგიერთები უკვე ლოგინათ ჩავარდენ, შიმშილობენ შემდეგი პირები: ბუდუ მდივანი, ი. თალაკვაძე, სტ. ალავერდოვი, ნესტორ ცერცვაძე, ა. ელბაკიძე, ხოშტარია და სხვები.

**საქველმოქმედო ლოტო.** მეორე ქართულ კლუბში, (ყოფილი ხარფუხისა, მიხეილის ქუჩაზე) ხუთშაბათს, პარასკევს, შაბათსა და კვირას გაიმართება **საქველმოქმედო ლოტო.**

**ბრატი ისპანიური ავადმყოფობის წინააღმდეგ.** ავსტრო-ჰუნგრეთის ლაშქრის ექიმმა კარპასევიჩმა ისპანიური ავადმყოფობის წინააღმდეგ მრატი აღმოაჩინა. ბრატის ცდამ კარგი შედეგები დასტოვა. მოკლე დროში ავსტრიისა და გერმანულ საავადმყოფოებში ჯარის კაცთა სავალდებულო აცრას შემოიღებენ.

**გენ. მუსხელიშვილი.** სამხედრო მინისტრის ბრძანებით ბათუმის არტილერიის ყოფილი უფროსი გენ. მუსხელიშვილი შტატს გარეშე იქნა დატოვებული.

**სამხედრო სასამართლომ** საავიაციო რაზმის ჯარისკაცს ივ. ფარსმანიშვილს ვინტოვკის მოპარისთვის გამასწორებელ რაზმში ყოფნა მიუსაჯა 2 წ. და 6 თვით.

**სასოფლო კომისია და აფხაზეთი.** სასოფლო კომისიამ მჭიდრო ურთიერთობა მოაწყო აფხაზეთთან, რითაც ადვილდება იქ ორგანიზაციულ მუშაობის წარმოება და საქართველოს დამოუკიდებლობის შეგნების განმტკიცება.

## ქალაქის საბჭოში

**ღვინობისთვის 22-ს სხდომა.**

სხდომა იხსნება ჩვეულებრივის დაგვიანებით 8 ს. მაგივრად 8 ს. 35 წ. თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

**† შახატუნი.**

**თავმჯდომარე** სხდომას აცნობებს ქალაქის საბჭოს ყოფილ წევრის, შახატუნის გარდაცვალებას და წინადადებას იძლევა მის ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცენ და სომხის ერს მიუსამძიმრონ.

საბჭო ფეხზე ადგომით პატივს სცემს შახატუნის ხსოვნას.

**საარჩევნო სამზადისის გარშემო.**

**ხმ. თარხანოვი** (ს.-რ.). ჰკითხულობს თუ რა მდგომარეობაში მომავალ საქალაქო არჩევნებისთვის მზადების საქმე, ლაპარაკობს საბჭოს საარჩევნო კომისიაზე და მოითხოვს, რომ ასეთი კომისია აირჩიოს.

**ქალ. თავი ნ. ელიავა** განმარტებას აძლევს თარხანოვს და ამბობს: საქალაქო დებულების ძალით, არჩევნების მომზადება და არჩევნების ტეხნიკური მხარე უნდა აწარმოოს ქალაქის გამგეობამ. თუ გამგეობა საჭიროდ სცნობს მაშინ მოიწვევს საბჭოს საარჩევნო კომისიას, ხოლო ამის საჭიროება კი ჯერ არ არის. სამზადისს ჯერ-ჯერობით ხელმძღვანელობს გამგეობის მდივანი, რომელსაც სწორედ დღეს უნდა წარმოედგინა მოხსენება ამის შესახებ, მაგრამ დაწერა ვერ მოასწრო და თუ ინებებთ ზეპირად მოგახსენებთ. არჩევნებისათვის უკვე გადადებულია 120,000 მან., მაგრამ საქმეს ის აბრკოლებს, რომ ქალაქის სალაროში ფული არ არის და ეს დადგენილება ქაღალდზე რჩება. მოსალოდნელია მდგომარეობის გაუმჯობესება იმით, რომ, რადგანაც საარჩევნო სიები მთავრობას გამოადგება დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის, ჩვენ ვსთხოვეთ მთავრობას საარჩევნო ხარჯების ნახევარი თვითონ იკისროს. ჯერ საბოლოოდ არ არის გამორკვეული საკითხი თუ რა ენაზე იქნება შედგენილი საარჩევნო ბლანკები. რასაკვირველია, იგი ქართულ ენაზე, როგორც სახელმწიფო ენაზე უნდა იყოს შედგენილი; ჩვენ ვფიქრობდით, რომ კარგი იქნებოდა თუ ბლანკებს ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე შევადგენდით, მაგრამ საქმე იმაშია, რომ თვითეული ენა 50,000 მანეთით ადიდებს ხარჯებს და შესაძლებელია საარჩევნო ხარჯები ამ შემთხვევაში ნახევარი მილიონი მანეთამდე ავიდეს, მაგრამ ფინანსების მხრივ საქმე ისე გვიჭირს, რომ ჯერჯერობით მხოლოდ 12,000 მან. გადადება შევსძელით ნაღდად არჩევნებისათვის. ენის საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად სიტყვას საბჭოსაგან ველით. აღწერის აპარატი ასეთია ჩვენ მოვიწვიეთ აღმწერლები დღეში 20 მან. თითეულს, 5 აღმწერზე—1 ინსტრუქტორი, აღწერა გაგრძელება 3 დღეს, აღწერის დროს მოველით დახმარებას სახლის კომიტეტებისაგან.

**ხანდამოვი** (კად.) და **იაგჯიანი** (დაშნაკ.) მოითხოვენ, განხილულ იქმნეს შეკითხვა შესახებ ქალაქის კონტროლიორის მელიქ-ალახვერდოვისა, რომელიც მეტეხის ციხეშია დაპატიმრებული. მას საჭმლის მიდებაზე უარი უთქვამს, რაც მის სისუსტის გამო საშიშ მდგომარეობაში აყენებს მას.

**თარხანოვი** (ს.-რ.). მოითხოვს დღესვე იქმნეს განხილული საკითხი საარჩევნო კომისიის შესახებ.

**ელიავა** უპასუხებს, რომ საქალაქო დებულების მე-8 მუხლის ძალით,, საარჩევნო სამზადისის ტეხნიკური მხარეს მხოლოდ გამგეობა განაგებს, კომისია მხოლოდ უნდა დაეხმაროს. თუ გნებავთ შემდეგი სხდომის დღის წესრიგში შევიტანოთ.

**რუხია** (ს.-დ.). იმ პირთ, რომელთაც გამგეობა მიატოვეს, ეხლა ჰსურთ საარჩევნო კომისიის დანიშვნით შექმნან ცალკე გამგეობა, რომელიც მეტოქეობას გაუწევს ნამდვილ გამგეობას. ეს ვაჟბატონები ეცდებიან რომელი საკითხიც მოეპრიანებათ, მისთვის ყოველ ცალკე შემთხვევაში ცალკე გამგეობა შექმნან და ამნაირად თავისი გავლენა მოახდინონ გამგეობის მუშაობაზე...

შემოვიდა წინადადება კენჭი ეყაროს საკითხს.

საბჭომ 20 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 15-ისა, სურვილი გამოსთქვა, საკითხი საარჩევნო კომისიის შედგენის შესახებ საერთოდ განხილულ იქმნეს.

**ინციდენტი მანთაშევის სახლში.**

**ელიავა** საბჭოს აცნობებს მანთაშევის სახლში მომხდარ ინციდენტს: ღვინობისთვის 21 დღის 12—1 ს. მილიციის უფროსს აცნობეს, რომ მანთაშევის ქარვასლიდან (სომხის ბაზარში) კივილი მოისმოდა და ვიღაც შველას ითხოვდა მილიციაში. მილიცია ქარვასლაში არ შეუშვეს და ტყვიის მფრქვეველები გამოაწყვეს. მილიციის უფროსმა პირადად ეს ამბავი შინაგან საქმეთა მინისტრს გადასცა. სამხედრო მინისტრის მოადგილემ პირადათვე აცნობა სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს ჯამალიანს, უკანასკნელი სამხედრო მინისტრის მოადგილის, მილიციის უფროსის და ქალაქის თავთან ერთად მივიდენ მანთაშევის ქარვასლაში და განმარტების შემდეგ მილიცია ქარვასლაში შევიდა. მილიციამ ქარვასლის ერთ სარდაფში დააპატიმრა ქურდი მიშა სიხარულიძე—იგივე მოსე კარაპეტიანცი, რომელიც ჯერ სომხურ ჯარში მსახურობდა კარაპეტიანცის გვარით და პოლკი გაქურდა. შემდეგ ქართულ ჯარში გადმოსულა მ. სიხარულიძის გვარით და ახლა ქართული პოლკი გაუქურდავს (სიცილი).

**ვეშაპელი** (ადგილიდან): ინტერნაციონალისტი ყოფილა"... (სიცილი).

**ხმ. ხუდადოვი.** (ს. რ.) კითხულობს მილიციის უფროსმა პირდაპირ რად მიმართა მინისტრს და არა ჯერ ქალაქის თავსაო.

**ვეშაპელი.** (ადგილიდან) იმიტომ, რომ საქმე უცხო სახელმწიფოს შეეხება. (სიცილი).

**ელიავა.** მართალია. მიზეზი ესაა.

**ვეშაპელი.** (ქართულად) ეს საკითხი ქალაქის საბჭოში სრულიად არ უნდა წამოეყენებინათ, მაგრამ რაკი წამოაყენეს ნება მომეცით ვიკითხო რა ამბავია, რომ საქართველოს დედა-ქალაქში სომხეთის სამხედრო ქონება ზარბაზნები, ტყვიისმფრქვეველები, თოფები და ასაფეთქებელი მასალა არის დარჩენილი და მას სომხური სამხედრო ნაწილი იცავს. მე მესმის როდესაც მაგ. გერმანეთის საელჩო შორეულ ჩინეთში თავის სამხედრო ქონებას საკუთარ სამხედრო ძალით იცავს, ეს იმიტომაა, რომ ჩინელები უკულტურონი არიან. ჩვენი და სომხების სახელმწიფოც აზიურია და ერთმანეთს ზედ ვაკრივართ. რატომ იქამდის არ გაზიდავენ ამ იარაღს აქედან. ახალციხის ამბები... (ხმა დაშნაკელებიდან: ეგ პროვოკაციაა!..)

**ელიავა.** მანთაშევის ქარვასლაში ინახება თბილისში ყოფილ სომხურ სამხედრო ნაწილების სამხედრო ქონება, რომელსაც სდარაჯობს სომხური ნაწილი. ჯამალიანმა გვითხრა, როგორც კი მოისურვებთ ქართული ყარაულის დაყენებას მაშინვე მოვხსნი სომხურ ნაწილსაო და ქართულს ჩავაბარებო. ხოლო რაც შეეხება ქონების გადაზიდვას, მოგეხსენებათ, რომ მხოლოდ ეხლა მოდის პირველი მატარებლები ერევნიდან...

**ვეშაპელი:** (ადგილიდან)... სომხური ჯარით და აქედან დაჭრილებით გაბრუნდება...

**მუშტროვი** წინადადებას იძლევა მორიგ საქმეებზე გადასვლას და ჰკვირობს, რათ ლაპარაკობს ვეშაპელი ისეთ საგანზე, რომელიც საბჭოს არ შეეხება და რაც მხოლოდ პარლამენტში უნდა იყოს განხილული...

**ვეშაპელი** (ადგილიდან) „მე თქვენთვის ვამბობ, თქვენ ხომ იქ არა ხართ... (სიცილი).

**შ.**

(დასასრული ხვალ)

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტოს).

**გერმანიის ცნობა.**

### ომი

### დასავლეთის ფრონტი.

**ბერლინი.** 21 ოქტ. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. ფლანდრიაში, ლისის სექტორში, ძლიერი ბრძოლა სწარმოებდა. მტერი შემოიჭრა ზომერგენში, მაგრამ კონტრიერიშით ისევ განვდევნეთ. დეინძზე ორივე მხარეზე მტერი გამაგრდა ლისის დასავლეთ ნაპირზე. ჯარის ნაწილი, რომელიც მდინარეს აქეთ შემოიჭრა დავატყვევეთ. ფრანგების მცირე ჯგუფი გამაგრდა აღმოსავლეთ ნაპირზე. კორტრიკის აღმოსავლეთით მტერი შემოიჭრა დორლიკის და ზვევეგების აქეთ. მაღლობებზე, ვიხტის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიშები. შელდის ჩრდილოეთით ჩვენი პოზიციების წინ მოვიგერიეთ მტრის იერიში. ტურნის ჩრდილოეთით მტერმა მიაღწია შელდას. ტურნეს სამხრეთით დენენის აღმოსავლეთით მტერთან ბრძოლა გვაქვს. სენამანის ხაზზე და მაღლობებზე ხასპრის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთ აღმოსავლეთით სოლემსის ორივე მხარეზე და ლე-კატოსთან მტერმა 17 და 18 ღვინ. იერიშები გააფართოვა. ლე-კატოსა და უაზის შუა გუშინ დიდი ძალებით მტერმა კვლავ ძლიერი იერიში მოიტანა სომენგოვის და ფერტრენგის შუა. ხარპის დაბლობის დასავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. სოლემსის ორივე მხარეზე მტერმა გაარღვია ჩვენი წინა ხაზი, მაგრამ მაღლობებზე, ქალაქის აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მტერი შევაჩერეთ. ჩვენ მიერ დატოვებული რომერი და ომერვალი კონტრ-იერიშით ისევ დავიბრუნეთ. ლე-კატოს ორივე მხარეზე, ძლიერი ბრძოლის შემდეგ, ჩვენ შევინარჩუნეთ ჩვენი პოზიციები. ამ ბრძოლაში განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინა ბრანდერბურგის მე-44 დივიზიამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა გენერალ-მაიორი ჰაასი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბრძოლაში მტერმა მრავალი სამხედრო მასალა დახარჯა, 20 კილომ. ასპარეზზე ჩვენი ჯარის სიმამაცის გამო მან ძლიერ მცირე ტერიტორია მოიგო.

**გერმანიის კრონპრინცის ლაშქარი.** ხურის ლაონმარლის გზატკეცილის ორივე მხარეზე მტერმა იერიშები განაახლა. კონტრიერიშით ჩვენ დავიბრუნეთ მტრის ხელში გადასული პოზიციები და მოწინააღმდეგის ძლიერი იერიშები მოვიგერიეთ. მდინარე ენის დასავლეთით, აღმოსავლეთ პრუსიის ბათალიონებმა და ბრძოლაში გამოცდილ 231 პოლკმა მოიგერია მტრის იერიში და თავის პოზიციები დაიბრუნა. ვუზიერის აღმოსავლეთით მტერი შეეცადა 19 ოქტომბრის გამარჯვების გაფართოვებას, მაგრამ 411 პოლკმა და ბავარიის 24 პოლკის მეშვიდე როტამ მტერს ცდა უნაყოფოთ ჩაუტარა.

**ჰალვიცის ლაშქარი,** ბონტევილის აღმოსავლეთით ამერიკელების იერიში მოვიგერიეთ. მაასის ორივე მხარეზე უმნიშვნელო შეტაკებები.

**სამხრეთ-აღმოსავლეთის ასპარეზი.** მორავაზე ჩვენ მოვიგერიეთ სერბიელების განახლებული იერიშები.

**სტამბოლი.** 21 ღვინ. სამხედრო ცნობა. ასპარეზზე სრული სიწყნარეა.

**ვენა.** 21 ღვინ. სამხედრო ცნობა. ასპარეზებზე აღსანიშნავი არაფერი მომხდარა. სამხრეთ მორავას ორივე მხარეზე სერბიელების იერიშები ძლიერდება.

**ბერლინი,** 21 ღვინ. საღამოს სამხედრო ცნობა. ასპარეზებზე მტერი აწარმოებს კონტრ-იერიშებს, რომელთაც ჩვენ ვიგერიებთ. მდინარე ენის აღმოსავლეთით, ვუზიერის ორივე მხარეზე მტრის მიერ დაჭერილი მაღლობების წინააღმდეგ კონტრ-იერიშებს ვაწარმოებთ და ვიმარჯვებთ.

**ლონდონი,** 19 ღვინ. „ლონდონის მიმოხილვის" სამხედრო თანამშრომელი ჰსწერს: „მკათათვიდან მოკავშირეებმა უკან დაიბრუნეს: ბრიუგე, კურტრე, ლილის მიდამო დუე, კამბრე, სენ-კანტენი, ლაფერი, გობენი, შემენდე-დამი, ლაიონი, მთელი ჩრდილო შამპანი და ზემო არგონი. ყველა ეს ძვირფასი და დაუვიწყარი გამარჯვებანი უფრო მიმზიდველი ხდება, თუ გავიხსენებთ ჩვენს განვლილ გაზაფხულს და შარშანდელ ზაფხულს. მორიგ სამხედრო განზრახულებათა აღსრულება შეგვიძლია გადავდოთ მომავალ ზაფხულისათვის (დამახინჯებულია). მტერი შეიძლება მხოლოდ ამ ზამთარმა გადაარჩინოს სრულ განადგურებას, მაგრამ ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია. ეს მხოლოდ დროს და ისიც რამოდენიმე თვის საკითხია. მტრის სისუსტე თანდათან თვალსაჩინო ხდება. მას ასუსტებს ცოცხალი ძალის სიმცირე, რომელსაც ხელოვნურად არაფერი ეშველება. ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში მას დააკლდა მილიონი კაცი და დაჰკარგა 5000 ზარბაზანი, რაიც შეადგენს თითქმის მესამედს მისი არტილერიისას. მას ძალზე უნდა შეემცირებინა რიცხვი თავისი დივიზიებისა, რითაც ძალა საგრძნობლად მცირდება. მტრის სათადარიგო ჯარი 30 დივიზიამდე დავიდა, რომელთაგან მხოლოდ ნახევარი თუ წარმოადგენს ახალ სავარგის ძალას. სულიერი განწყობილებაც დღით დღე ეცემა გერმანიაში. დამორჩილება, ან სრული განადგურება აი ის არჩევანი, რომელიც მტრის წინაშე სდგას".

**მოსკოვი.** 21 ოქტ. ს. რ. ც. აღ. კომიტ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი 19 ოქტ. აღმოსავლეთის ასპარეზი. კუეშინის მიმართულებით. სოფელ სვევკასთან, ბრძოლა გრძელდება. მტრის შეტევა კუეშინის ქარხანაზე მოვიგერიეთ. კრასნოვინის მიმართულებით მტერმა დიდ ძალ ჯარს მოუყარა თავი და შეტევა დაიწყო. ჩრდილოეთის ფრონტი: ცარიცინის მიმართულებით ჩვენ დავიჭირეთ სადგური ვორონკოვი; ივანოვკა-სარეპტის ფრონტზე წინსვლას განვაგრძობთ. ომი დასავლეთის ფრონტზე: ლონდონი, 18 ოქტ.: ბელგიელებმა დაიჭირეს ქალაქი ბრიუგე. მტერმა დასცალა ზეებრიუგე. ვუზიერ-გრანდ-პრეს მაღლობებზე ბრძოლა სწარმოებს. ფრანგებმა გადალახეს მდინარე ენი. ბერლინი, 19 ოქტ. ფინანსისტთა წრეებში გავრცელდა ამბები, რომ გერმანიის მთავრობა შეთანხმების ცდას აღარ დაად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გება. ლოკალანცეიერი“ ამ ხმებს უარყოფს. ვენა, 19 ოქტ. ავსტრიის მთავრობას ჯერ არ გამოუქვეყნებია ვილსონის პასუხი. ფიქრობენ, რომ ვილსონი მოითხოვს მათგან გერმანიასთან კავშირის გაწყვეტას. ავსტრია იარსებებს როგორც ფედერატიული სახელმწიფო. კოპენჰაგენი, 19 ოქტ. გერმანიის რკინის გზებს ბრძანება დაეგზავნათ,—მზად იყვნენ მოსალოდნელ დემობილიზაციის წესიერად ჩატარებისთვის.

# პატარა ფელეტონი

ჯერ—არ გაუგიათო,
ჯერ—არ შეუტყვიათო!
ეხლა—გაუგიათო,
ეხლა—შეუტყვიათო!

(თქმულება)

ერთ სოფელს გამგედა ჰყავდა ვინმე ყადი. ყადი საშინელი მოქრთამე იყო, მაგრამ ისე ჰმალავდა, რომ ძნელად თუ ვინმე მიუხვდებოდა. სასოფლო სოფლის განაპირას იყო და ყველა კვირა-უქმე დღეს სოფელი იქ იკრიბებოდა. ყადიც მუდამ დაიარებოდა სასოფლოზე. სასოფლოს ერთ კუნჭულში სცხოვრობდა ერთი ფეიქარი. ფეიქარს ისე ჰქონდა მოწყობილი თავისი საფეიქრო, რომ ყველა სასოფლოზე მიმავალი, თუ მომავალი, საფეიქროსკენ გაივლიდა. ფეიქარი ყველას სძრახავდა და ბევრიც, თავის გულის-პასუხს ფეიქარს უზიარებდა. ამიტომ ფეიქარმა კარგად იცოდა რა ხდებოდა სოფლად და სოფლის გარეშეც. შეტყობილი ჰქონდა ფეიქარს ისიც, რომ ყადი საშინელი ხელ-მრუდი იყო. ბევრჯელ დააპირა კიდეც ფეიქარმა ყადი გაეფრთხილებინა, მაგრამ ვერა ჰბედავდა; ჰშიშობდა მარცხს არას წავაწყდეო. რა ექნა? ბოლოს ადგა ფეიქარი და შემდეგ ხერხს მიჰმართა. დაინახავდა თუ არა ფეიქარი სასოფლოზე მიმავალს ყადს, გაჰკრავ-გამოჰკრავდა საფეიქროში მაქოს და ზედ ყადის მისახვედრათ დაამღერებდა:

ჯერ—არ გაუგიათო,
ჯერ—არ შეუტყვიათო!!!
ჯერ—არ გაუგიათო,
ჯერ—არ შეუტყვიათო!!!

მართლაც და ერთსა და იმავე ფეიქრის სიმღერას, ყადმა ყურადღება მიაქცია და ბოლოს კიდევაც ჰკითხა ყადიმ ფეიქარს: „ეგ რასა ჰმღერიო?!—არაფერს—დიდებულო ყადი, გამგონმა უნდა გაიგოსო, მიუგო ფეიქარმა ყადს.

ყადი მაინც ვერ მიჰხვდა ფეიქრის პასუხს და გაცხარდა. აუკრძალა ფეიქარს სამუდამოდ საფეიქროში სიმღერა. გავიდა რამდენიმე ხანი. ფეიქარმა უსიმღეროდ მოიწყინა. ყადმა თავისი საქციელი არ მოიშალა.

ერთ მშვენიერ დღეს სოფლად რაღაც ქოთქოთი შეიქმნა. სოფელი ჰღელავდა. დაღონებულმა ფეიქარმა გაიხედა საფეიქროდან, მაგრამ რას ჰხედავს! სოფელს ხელ-ფეხ შეკრული ყადი მოჰყავს სასოფლოზე. ფეიქარი მაშინათვე მიჰხვდა რაშიაც იყო საქმე და გახარებული გადახტა საფეიქროში. გაჰკრა-გამოჰკრა მაქოს და რამდენიმე ხნის სიმღერას მოწყურებულმა დაიღიღინა:

ეხლა—გაუგიათო!
ეხლა—შეუტყვიათო!
ეხლა—გაუგიათო!
ეხლა—შეუტყვიათო!!!

ყადიც გამოატარეს საფეიქროსკენ. შემოესმა ყადს ფეიქრის ღიღინი და იფიქრა: ნეტავ, ფეიქარი ისევ იმ სიმღერასა მღერისო? მიაქცია ყადმა სიმღერისკენ ყურთა სმენა, მაგრამ ეხლა სულ სხვა სიმღერა მოესმა საფეიქროდან. აქ ყადი ღრმად ჩაუფიქრდა ფეიქრის პირველ ღიღინს და ეხლანდელსაც, მიჰხვდა კიდეც, რომ ფეიქარი თავის პირველი სიმღერით იმას აფრთხილებდა, მაგრამ ის იმას ვერ მოუხვდა და მეორე სიმღერით ფეიქარი იმას ნიშს უგებდა, მაგრამ გვიანღა იყო. ყადის სიცოცხლის წამები დათვლილი იყო. სოფელს ის სასოფლოზე საწამებლად მიჰყავდა.

გ. ჭრელაშვილი.

# უცხოეთის ამბები

**გერმანიის იმპერატორის მოწოდება**

ამ მოწოდებით კაიზერმა მიმართა ჯარს და ფლოტს იმ დროს, როცა მოლაპარაკება დაიწყო დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ:

„უკვე რამდენიმე თვეა მოწინააღმდეგე არა ზოგავს არაფერს და მთელი თავისი ძალ-ღონით განუწყვეტლივი იერიშები მოაქვს ჩვენზე. იგ ბრძოლებში, რომლებიც ხშირად მთელი კვირაობით გრძელდება თქვენ გულს უშვერთ თქვენზე გაცილებით მრავალ რიცხოვან მტერს. ამაში გამოიხატება მთელი სიდიადე იმ საქმისა, რომელიც უნდა შეასრულოთ. გერმანიის ყველა სახელმწიფოების ჯარები პირნათლად ასრულებენ თავის მოვალეობას და იცავენ თავის სამშობლოს სხვის ტერიტორიაზე. მძიმეა ჩვენი ფლოტის მდგომარეობაც, რომელიც უნდა გაუსწორდეს მოწინააღმდეგეთა შეერთებულ საზღვაო ძალებს და დაუღალავი ენერგიით იცავს მებრძოლ ჯარს. სიამაყით და გაკვირვებით უცქერის ერი თავის ჯარის და ფლოტის სიმამაცეს და მხნეობას. მადლობას გიცხადებთ თქვენ სამშობლოს სახელით. ძლიერი ბრძოლების დროს დაილუპა მაკედონიის ასპარეზი. თქვენი ასპარეზი ურყევია და ასეთივე დარჩება შემდეგშიაც. ჩვენი მოკავშირეთა თანხმობით მე გადავსწყვიტე ხელ-ახლა მიმემართა მტრისათვის და ჩვენ გაუწოდეთ ხელი ისეთ საპატიო ზავის პირობათ, რომელიც შეეფერება და ეკუთვნის ჩვენს სამშობლოსათვის დახოცილ გმირთა. დავყრით ჩვენ იარაღს? ეს საკიხი ჯერ გარკვეული არ არის, მაგრამ მანამდე არ უნდა დავსუსტდეთ. ჩვენ, როგორც აქამდის, ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ რათა მოწინააღმდეგის იერიშებს შესაფერისი პასუხი გავცეთ. მომენტი სერიოზულია, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს ჩვენი ძალის და ღვთის დახმარების და თავს საკმარისად ღონივრად ვგრძნობთ, რომ დავიცვათ ჩვენი ძვირფასი სამშობლო.

**იტალიელ სოციალისტების მოთხოვნილება.**

26 ენკენისთვეს, ბერნის „ავანტი“ იუწყება, რომ იტალიელი სოციალდემოკრატები მუშათა ფედერაციასთან ერთად მოითხოვენ საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესის მოწვევას რომში, საზავო პროგრამისა და ზავის დადების შემდეგ საქმეთა გასასინჯად.

**ბალფურის განცხადება**

ლონდონიდან იუწყებიან, რომ ბალფურმა სთქვა: 1918 წ. საზობაოდ საერთო ზავი არ იქნება ხელმოწერილი, მაგრამ ომები შესწყდებაო.

**პიშონის აზრი**

დეპუტატების პალატაში გარეშე საქმეთა მინისტრმა პიშონმა განაცხადა, რომ საახალწლოდ, ბრიუსელში შეიძლება შესდგეს საზავო კონფერენცია. ამისთვის სოციალისტებს ჰსურთ ბრიუსელში მოაწყონ ინტერნაციონალი სოციალისტური კონფერენცია.

**მიწისძვრა ვაშინგტონში**

18 ოქტომბერს, პორტორიკიში მიწისძვრის დროს მოკლულია ასი კაცი, ათასობით დარჩნენ უსახლკაროდ. ზარალი აღწევს 4 მილიონ დოლარს.

**არჩევნების გადადება**

უკანასკნელ საერთაშორისო პოლიტიკურ ამბების გამო ინგლისის პარლამენტის არჩევნები 1919 წლამდე გადაიდო.

**ედისონის გამოგონება**

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი იტყობინება: ბოლო შეტევებში ამერიკელები ედისონის ახალ გამოგონებით სარგებლობდენ—ღამით ჰაეროპლანიდან იყრება თეთრი ფხვნილი, რომელიც დილის სხივებზე იწვის. ინთება ყველა საგნები. გერმანელი ფიზიკოსები შეუდგნენ ახალ გამოგონების გამოძიებას. ამასთან ერთად გერმანულ ჯარში მიღებულია ზომები, რათა ტანისამოსში ცეცხლმა არ გაუაროს.

**ბ ი რ ჟ ა**

ცენტრალ სახელმწიფოთა საზავო მიმართვის შემდეგ ნიუ-იორკის ბირჟაზე, სამხედრო ქაღალდის ფასი საგრძნობლად იწევს: საზავო ქაღალდის ფასმა საგრძნობლად აიწია.

**მოკავშირენი ამურზე.**

მოსკოვიდან მოსული ცნობებით, ხაბაროვსკის აღების შემდეგ მოკავშირეთა ჯარები ამურზე გაემართნენ. უსურიის ასპარეზზე ბრძოლა გრძელდება. ჩინეთის გზას იცავენ: იაპონელები, ჩინელები და ჩეხები. ომსკიდან მოსული ცნობით, ჩეხთა მთავარ-სარდლად დანიშნულია ფრანგი გენერალი ჟონკონი.

**გლეხთა მღელვარება.**

„ბრიანსკის ანარქისტი“ იუწყება, რომ კალუგასა, ელცსა, რიაჟსკასა და ტამბოვში გლეხთა დიდი მღელვარებაა.

**დახვრეტის ბრძანება.**

ბრიანსკიდან იტყობინებიან, რომ ტროცკისა და პეტერსის ბრძანებით, უნდა დაჰხვრიტონ ყველა ის აფიცრები, რომელნიც სოვნარკომის უნებართვოთ ჰსტოვებენ საბჭოთა რუსეთის საზღვრებს.

**მანიფესტაცია მოსკოვში.**

მოსკოვში დიდი საზავო მანიფესტაციები იმართება. გერმანეთის საზავო წინადადებას ხალხი ზეიმით მ ეგება. ყველგან მიტინგები იმართება; თხოულობენ სამოქალაქო ომის შეწყვეტას.

**შეტევა დონზედ.**

საბჭოთა საზავო დელეგაციის ცნობით, ბოლშევიკები დიდათ ემზადებიან დონზე შესატევათ. ტროცკიმ დაათვალიერა პოზიციები და გამოვიდა მიტინგებზე ვორონეჟში და ლისკაში. იგი აღფრთოვანებული მოუწოდებდა ხალხს კრასნოვთან საბრძოლველად.

**ტერორი.**

ასტრახნის საბჭომ გამოსცა დეკრეტი რომლის ძალითაც ერთი წითელ გვარდიელის სიკვდილი ათი აფიცრის დახვრეტით უნდა ანაზღაურდეს.

**ბურჟუაზია.**

ქ. ტულაში ბურჟუაზიას მძევლება გამოართვეს მძევლებს ამუშავებენ სანაგვო ურმებზე, შეშის მოტანაზე, ნაწილს კი ციხეში. საბჭოთა გაზეთებში მარადღე იბეჭდება სია იმ პირთა „ვინც დეკრეტის თანახმად უნდა გადასახლდეს მოსკოვიდან, როგორც არა მშრომელი ელემენტი“.

**ა. კონის ბედი.**

რუსეთის ცნობილი მსწავლულ იურისტი ა. თ. კონი დიდ სიღარიბეში ჩავარდა. მას მეტი არა დარჩენია რა რომ თავის მდიდარ წიგნთ-საცავიდან გაჰყიდოს ფოტოგრაფია და ძვირფასი გრავიურები და მით ირჩინოს თავი.

**რომის პაპის გამოსვლა**

გიორგობისთვისათვის პაპა იწვევს კონკლავს, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს კარდინალები. ამ ფაქტს დიდ მნიშვნელობას აწერენ.

**საფრანგეთი**

ლიონში, მარსელში და სამხრეთ საფრანგეთის სხვა ქალაქებში საზავო დემონსტრაციები გაიმართა.

**ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრო**

საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება, რომ ის ხმები, თითქოს ინგლისის მთავრობას ჰქონდეს კავშირი შვეციაში მოსულ ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფოებრივ პირებთან, სიცრუეა და სინამდვილეს არ ესაბამება.

**ავსტრალიის მინისტრ-პრეზიდენტის განცხადება**

ავსტრალიის მინისტრ-პრეზიდენტმა იუზამ ლონდონში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, იქნებოდა სისულელე, რომ გერმანეთისთვის ხელი შეგვეწყო საფრანგეთის, ბელგიის ან ინგლისის სხვა მოკავშირეების დაზიანებაში დროა დაარსდეს ხალხთა კავშირი და იგი უფრო ადრე დაარსდა თუ გერმანიის კისერზე არ იქნებოდა დადებული ასეთი სასჯელი.

**ზინოვიევის მილოცვა**

ზინოვიევმა ოლგარელ ბოლშევიკებს მილოცვით მიჰმართა, ულოცავს მუშათა და გლეხთა რევოლიუციის დაწყების და ამბობს: დასცხეთ თქვენს ბურჟუაზიას და ძალა ხელთ იგდეთ, მაშინ ამოისუნთქებთ თავისუფლადო.

## ჟუბანი.

**გენ. დენიკინის დანიშვნა**

მოხალისეთა შტაბის ბრძანებით მოხალისეთა ლაშქარის მთავარსარდლად ა. ი. დენიკინი დაინიშნა.

**პეტროგრადი ინგლისელთა მოლოდინში.**

მოსკოვიდან იუწყებიან, რომ ჩრდილო კომუნა ადასტურებს ინგლისელსერბიელთა ძალთა გაძლიერებას პეტრონავოდსკ-პეტროგრადის გზათა მიდამოებში, სამხედრო კომისარი ევაგინი შესაძლებლად ჰსცნობს მათ მიერ პეტროგრადის დაჭერას. მიღებულია ზომები პეტროგრადის დასაცავად. ზარბაზნების და პატრონის ქარხნები მუდმივად ჰმუშაობენ სლავიანთა მობილიზაციამ გაზეთების სიტყვით კარგი შედეგები მოიტანა. სოვნარაომის სამსახურში ითვლება 34 პოლკოვნიკი, 11 გენერალი, რომელთაც თავის ნებით აღიარეს კომუნისტური მთავრობა.

**სოვნარკომი ბრესტლიტოვსკის ზავის შესახებ**

საბჭოს მთავრობისაგან ბერლინში ნოტა მიიღეს, რომლითაც წინადადება ეძლევა გერმანიას გაუქმებულად ჩასთვალოს ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულება. ამის საპასუხოდ ბერლინიდან აუწყეს, რომ აღმოსავლეთის საკითხი, ევვს გარეშეა, საერთო სამშვიდობო კონფერენციაზე გადასწყდება რუსეთის მთავრობას შეეძლო დაეცვა ხელშეკრულობის ის მუხლები, რომელნიც ეხებიან ეკონომიურ საკითხებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ეუწყა აგრეთვე, რომ ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულობის გაუქმების შესახებ, ასეთივე ნოტა შინაგან საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა ოსმალეთსაც გაუგზავნა.

**ინგლისელები თურანში**

ყაზახ-გლეხთა მთავრობას მოხდოკში ატყობინებენ, რომ ნაწილი ინგლისურ ლაშქრისა 15.000 კაცამდე, არაბისტანიდან მერვით და სამარყანდზე გავლით შეიჭრა თურანში და აქ ექვეთა ბოლშევიკებს, რომელთაც გააფთრებულ ომების შემდეგ ორენბურგის მიმართულებით დაიხიეს.

# რუსეთის პირველი წლები და პლატონ იოსელიანი.

საქართველოს მოსპობას და ქართველი ერის გარუსებას და გადაგვარებას დიდი ისტორია აქვს, ამაზედ ტომები დაიწერება.

რუსები თავიდანვე იმედიანად შეუდგნენ გარუსების საქმეს. მათ ხელში მოიგდეს ქართველების მართლმადიდებლობა და თავისი ზნამით ჯერ სჯული შეაგინეს. ეკლესია და სკოლა იყო პირველი და მთავარი გზები რუსობისა. გარუსების საქმეს ჰმეთაურობდნენ საქართველოს მთავარმართებლები, გინდ „ნამესტნიკები“ როგორც: პირველი მთავარმართებელი კნორინგი, რუსეთის მინისტრად ყოფილი კოვალენსკი და მათ შემდეგ 1803 წლიდამ, გარუსებული ქართველი პ. ციციშვილი, საქართველოს მეორე მთავარმართებელი. ციციშვილმა ბოროტებით კნორინგს და კოვალენსკის გადააჭარბა.

ციციშვილი იყო გარუსებული და ვერაგი ადამიანი. ჰსურდა ქართველი ერის გაქრობა და 1803 წ. ქართველ ბატონიშვილების რუსეთში გადასახლებას ამან შეუწყო ხელი. ასევე ის იჭერდა ყველა ქართველ მამულიშვილს და რუსეთში ჰგზავნიდა, ვისაც ვერ ასახლებდა, იმას იგი საქართველოში ცხოვრების ნებას არ აძლევდა და საქართველოდამ აძევებდა, ამის მაგალითია გონიერი მამულიშვილის სოლომონ ლეონიძის ცხოვრება; მისი სასტიკი დასჯა და წამება.

ს. ლეონიძეს გაძევება არ აკმარა და როგორც რუსეთის მოწინააღმდეგეს კახეთში და თბილისში საკუთარი მამაპაპეული მამულები წაართვა და რუსის მთავრობის საკუთრებათ იქნა გამოქვეყნებული. რუსების საქმეში ყველაზედ მეტი ცდა ციციშვილს მიუძღვის.

მისი გეგმით საქართველოდან ქართველ თავად-აზნაურთა შვილები რუსეთის სამხედრო სკოლებში, ლიცეიებში და ყაზარმებში გაგზავნეს და ეს გზა იყო გარუსებისა და სამუდამო გადაგვარებისა.

ასეთის ეშმაკობით რუსეთის ბოროტმა მთავრობამ საწადელს მიაღწია, მოკლე დროში, საქართველოს მოევლინა ისეთი ნასწავლი ახალგაზრდობა რომელთაც ქართული ენა და წერა-კითხვა სულ არ იცოდნენ.

იდევნებოდა სრულიად საქართველო. იფხვრებოდა მისთვის სიყვარული და უკვდავი ხსენება. საქართველოს გადაქელვა, რომელთა თანამოსაგრედ მალე გახდა: საქართველოს ბრწყინვალე თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და უკურნებელი ზნამი ჩაწვეთა გლეხობის ყურშიც დაიწყეს. გლეხობას ესმოდა, რომ ქართულს გასავალი არა აქვს, მას ესმოდა მარადდღე საქართველოს გინება. თავად-აზნაურობას მალე გაუჩნდა ჩრდილოს ავადმყოფობა და მათში უფრო შესაზარი ამბებია მოსაკითხი.

აქ მოვიყვანთ პოეტ ვახტანგ ორბელიანის სიტყვასა რაც უფრო ცხადად ასაბუთებს იმ ბოროტებას, თუ რუსეთის ბოროტმა მთავრობამ რა სიდიადით მიაღწია ქართველებში თავის მიზანს. მომყავს აქ პირდაპირ ვახტანგ ორბელიანის ნათქვამი სიტყვები 1881 წ.

ერთხელ ჩვენსას მოვიდა ნიკ. ბარათაშვილი, თან მოიტანა თავის ლექსები, ეს იყო შემოდგომა, ჩვენ ერთ ოთახში ვიწყეთ მათი გარჩევა. რადგანაც ცოტა სიცივე იყო, ჩვენ ცეცხლიც გვენთო.

ამ დროს ჩვენთან შემოვარდა ბიძა ჩემი, ხელში ერთი ქაღალდი ეჭირა და ჩვენის დანახვისას დაგვიწყო ყვირილი: თქვენ ქართული ლექსების წერას კი ნუ სწავლობთ, აი რუსულად ამ ქაღალდების წერა ისწავლეთ, რომ მის ძალით მე ჩემს სახლიკაცებს მოვერიო და ჩემი მამულები არ წამართვან, მე არ დამჯაბნონ, არ იცით, რომ ქართული დღეს ალარაფერია?

გრიგოლ ორბელიანი იტყოდა:

„ჩვენს ახალგაზრდობაში ქართული ენა ალარავის უნდოდა. ქართველებში საზოგადოება ალარ იყო, ამიტომ ქართული ენა გლეხების ენად იქმნა მიღებული და თავად-აზნაურების ენა რუსული ენა. ქართული წიგნი არ იყო. ქართული წერა-კითხვა გლეხების საკუთრებად გახდა და ჩვენი კი რუსული წერა-კითხვა შეიქმნა, ქართული აღარავის აგონდებოდა, ჩვენც თუ ლექსებს ვსწერდით, ჩვენი ნათესავებისა და მეგობრებისთვის და არა ხალხისთვის. ქართული ბეჭდვა ივან ივანიჩმა (კერესელიძე) აიტეხა, რომ მან „ცისკრის“ გამოცემა დაიწყო და ქართველებიც ცოტად წერა-კითხვას შეაჩვია, თორემ ვინ რა თავში იხლიდა ქართულს“? ქართველი სამღვდელოებაც ჩამორჩა გზას. იგი უფრო შორს წავიდა, რაკი მან იგემა სინოდის ჯამაგირები და ეგზარხოსთაგან ბოძებული ორდენები, „კამილავკები“ და სხ. ამათაც დაიწყეს რუსულად წირვა-ლოცვის შესრულება და საქმე იქამდის მივიდა, რომ მათ სიამოვნებით მოსპეს სიონში ქართულს ენაზე წირვა-ლოცვა, ასევე სხვა საყდრებშიც, და აღდგომა ღამეს და დიდხუთშაბათს სიონში ქართულს ენაზედ „სახარებასაც“-კი აღარ კითხულობდნენ!..

ქართველ მიცვალებულებს რუსულის წირვა ლოცვით და გალობით ასაფლავებდენ. ეპისკოპოსნი ქართველ სასულიერო პირთ რუსულათ აკურთხებდენ ხოლმე, ნათლობაც და ქორწილიც კი ქალაქ ადგილებში ხშირათ რუსულათ სრულდებოდა, ერთი სულიერი მამა, აკადემიელი და მასთან ქართველი მწიგნობარი, ქართული სასულიერო ჟურნალის რედაქტორი, მაგისტრი გიორგი ხე—ძე უფრო უარესი რუსი გამოვიდა, თბილისის სემინარიის რევიზორს კერსკის მან მოხსენება მისცა:

„რადგანაც ქართული ენა მეტად ტლანქია, მისი სწავლება სემინარიაში ზედმეტია. ვითხოვ რომ თბ. სასულიერო სემინარიის კლასებში მის ნაცვლად მიღებულ იყოს სლავიანურის სწავლება.“

რუსოფილს რევიზორს კორსკის ესეთი მოხსენება ქართველის აკადემიკ ნასწავლ დეკანოზისაგან ძლიერ მოეწონა, დეკანოზს მადლობა უთხრა და თან შეპირდა, რომ თქვენს დავალებას მალე უსათუოდ ავასრულებო.

მკვდარი ქართული გაკვეთილები შეცვლილ იქმნა, ამას გარდა სემინარიიდან გაძევებულ იქმნა ქართველი ზედამხედველი იაკ. გოგებაშვილი, მასწავლებლები ტურიაშვილი, გ. იოსელიანი და სხვებიც ისე, რომ სემინარიაში ქართველი მასწავლებლის ხსენება ალარ დატოვეს.

მოგახსენებთ, რომ ქართული ენა იდევნებოდა არამც თუ მარტოთ ასეთ სასწავლებელში და სასულიერო სასწავლებლებში, არამედ ქართულ ენას სდევნიდენ თვით დაბალ ხარისხის სკოლებშიაც, მაგალითებრ თბილისის სახალხო და სოფლის სახალხო სკოლებშიაც-კი.

სასწავლებლებში მოსიარულე ბავშვებს მშობლები თვალ-ყურს ადევნებდენ და ვისაც რუსული ენის უსწავლელობას შეამჩნევდენ, იმას პურს არ აჭმევდენ.

ყოფილა მაგალითები, ქართველ მშობლებს უთხოვნიათ მასწავლებლებისათვის სკოლებში, რომ ჩვენ შვილებს ქართულ ენას ნულარ ასწავლი, ჩვენ მისი სწავლება არ გვინდაო.

სწორედ ასეთს ჯგუფს ეკუთვნის თავ. გიორგი მუხრან-ბატონი, 1860 წ. შემდეგ ამ მუხრან-ბატონს საქართველოს მთავრობის ასპარეზზედ დიდი ადგილი ეკავა, 1865 წ. შემდეგ, იგი იყო მთავარმართებლის დირექტორად ასე რომ მას ეკავა მთავრობის ნაწილში დიდი ადგილი და ეს დიდი კაცი იყო ძრიელ გადაგვარებული.

ამ პირს უკუღმართი შეხედულება ჰქონდა საქართველოზე და ქართველებზე. 1870 წ. საქართველოს შესახებ მან რუსულ ენაზე წიგნი დაბეჭდა, რომელმაც აურზაური გამოიწვია.

მუხრანსკის ქადაგება აი რას შეიცავს:

ჩვენ, ქართველებს არა გვაქვს მომავალი, ჩვენი ქართველი პატრიოტები ტყუილად იბრძვიან და ქადაგებენ, რომ საქართველოში, ქართველი ერი ქართული ენით უნდა განათლდესო. ჩვენი განათლება ქართული ენით შეუძლებელია, რადგანაც ჩვენ ქართველებს ოცდა ათ ნაირი ქართველი ენა გვაქვს, მაშასადამე ჩვენ მოგვინდება ოცდა ათნაირი „დედა ენის“ შედგენა და ამ ნაირს დედა ენით სწავლა-განათლება და არა ერთის დედა ენით, ეს კი შეუძლებელია, ამას ჩვენი მთავრობა ვერ შესძლებს.

ჩვენში კახელი სხვა ენით ლაპარაკობს, ქართველი სხვა ენით, ასევე იმერელი, რაჭველი, მეგრელი, გურული, სვანი, და სხ. ესე დაინაწილა საქართველო და მისი ენა.

ბოროტი მუხრანსკი ამ თავის ბინძურს თეორიას მეცნიერულის მოსაზრებითაც მოსავდა და ბინძურ წადილს ბუნებრივათაც ხსნიდა.

ჩვენ ქართველებმა რაც გინდ ბევრი ვეცადოთ, მანც ჩვენ ჩვენს ვინაობას ვერ დავიცავთ, ქართულს ენას ვერ შევინახავთ, ადრე, თუ გვიან ჩვენც ისე მოგველის გადაგვარება, როგორც მოხდა ევროპაში და ბევრს ალაგას პატარა გვარის წევრნი დიდს ტომებს შეუერთდენ. ჩვენშიდაც ეს ასე მოხდება უსათუოდ, რადგანაც ეს ბუნებრივიც არის და ამას ჩვენ ბუნებაშიაც ვხედავთ.

„მაგალითებრ დიდი ფრინველები სჭამენ პატარა ფრინველებს, დიდი მხეცები პატარა მხეცებს, დიდი თევზები პატარა თევზებს, და სხვ.

ამ აზრებს მუხრანსკი ხშირათ სხვა და სხვა მეცნიერებითაც იცავდა, ხშირათ ასეთ შეჰმა-გადაგვარების დარვინის თეორიითაც ასაბუთებდა, მაგრამ ამაოთ, რადგანაც დარვინს ასეთი ბოროტება არსად აქვს განცხადებული მ. მუხრანსკიმ, გადაგვარების შესახებ ჯერეთ გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდა და შემდეგი 1872 წ. წიგნად გამოსცა.

როგორც გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდილ წერილებმა, ისევე ცალკე წიგნად გამოცემულია ქართველ ერში დიდი აურ-ზაური ასტეხა, ბევრნი თუ პატივის მცემლები გამოვიდენ მუხრანსკის თეორიის, ბევრნი მის წინააღმდეგნიც იყვნენ, მუხრანსკის მომხრენი იყვნენ იმ დროის ქართველი გენერლები, გ. მუხრანსკის პატივის მცემლათ რუსებში გამოჩნდა, იმ დროის თფილისის I კლასიკური გიმნაზიის დირექტორი ხულიგანი ძელიხოვსკი.

მართალია ქართველებში, იმ მუხრანსკიმ რუსოფილობა გაადვილა და გაიაფა, მიტომ მის მოწინააღმდეგენიც ბევრნი გამოუჩნდნენ, როცა მუხრანსკი მარტოთ ენით ეწევოდა ქადაგებას, მაშინ მას ქართველებში ხმას არვინ სცემდა, როცა მან თავის ბოროტება ბეჭდვითაც გაბედა და ისიც რუსულს ენაზედ, მაშინ კი მას ქართველებშიაც ბევრნი გამოუჩნდნენ წინააღმდეგნი, რომელთაც მწერლობით დაუწყეს ბრძოლა. ასეთია მაგალითებრ შემდეგი პირობები მუხრანსკის „კავკაზში“ დაბეჭდილის წერილებს და მერე ამ წერილებს ცალკე დაბეჭდილ წიგნს პასუხადაც მისცეს ასე:

პეტროგრადის მოსწავლე ქართველ სტუდენტობამ მისცა პასუხი მუხრანსკის, მათ სასტიკათ დაგმეს მუხრანსკის ბოროტი აზრები.

თბილისში, იმ დროის „დროების“ ერთ №-ში დაიბეჭდა ფელეტონი „სახარება“, რომელიც ეკუთვნის გ. წერეთელს. ეს „სახარება“ ასე იწყება.

„მას ჟამსა შინა იყო კაცი ვინმე, რომელმანც დაივიწყა თავი თვისი, სამშობლო და ძმანი თვისნი და უქადაგებდა მტერსა, რათა მათ აღმოეხოცნად ტომნი მათნი. შურმან დაუბრმავა მტერსა თვალი“ და სხვაც ბევრი ამგვარი სიტყვები შეჩვენებითი კილოთი. ეს სახარება მთელ ქართველობაში დიდის ინტერესით იკითხებოდა.

მაშინვე „კრებულში“ პასუხი მისცა პეტ. უმიკაშვილმა, „მცირე ტომთა ენებზედ“ რაც მეცნიერულად ურღვევს მუხრანსკის მოძღვრებას.

ამავე დროს „დროებაში“ დაიბეჭდა ერთი ლექსი, რომელიც მოძღვნილი იყო გ. მუხრანსკის მოძღვრებაზედ, ამ ლექს იწყება:

„ოდეს ზღვა დაშრეს, ქვიშა გამოჩნდეს, თევზი მთას ვლიდეს სიარულითა, ჯარი შვილს შობდეს, დედა შვილს ჰკლავდეს ვირი თავს აღგეს ქიანურითა: მაშინ მოგერთვან როცა გწადიმნ, ჩემო კეთილო სიხარითა“ და სხვა.

ამ ნაირს თბილისის ქუჩებში ბალღებიც მღეროდნენ.

ლექსის აზრი:

თუ ზღვა დაშრება და თევზები მიწაზედ დაიწყებენ სიარულს და სხ. ქართველების გარუსებაც მაშინ მოხდებაო.

ასეთ საპასუხო საყვედურებზედ არა ნაკლები გახლავსთ წერილი ეპისკ. გაბრიელისა, რომელშიც გ. მუხრანსკის მისწერა. 1872 წ. თბილისში ძელიხოვსკიმ რუსულ ენაზე ლექცია წაიკითხა, მან გააფთრებით გაილაშქრა საქართველოს წინააღმდეგ და გიორგი მუხრან-ბატონიც დაიმოწმა.

მან სთქვა: საქართველომ განვლო ყველა გზები დაბადებისა, მოხუცებისა და ყრმობისაო. ახლა სიკვდილის გზაჯვარედინზეა და მის ბევრ სხვულს მიწის მიყრის მეტი არა უნდა რაო“.

ქართველობა ააშფოთა ასეთ კადნიერობამ და საქართველოც ორ ბანაკად გაიყო. ერთი მამულიშვილთა, მეორე გ. მუხრანსკის და ბრწყინვალე სამხედრო ბანაკი საქართველოს გამყიდავი და დაუნდობელი. თბილისში

მარტო ორბელიანთ გვარში 15-ამდე გენერალი იყო. ბარათაშვილებში—8, მუხრან-ბატონებში 6, მელიქიშვილებში—5 აქვე სხ. ზოგ მათგანმა მთავარ მართებლობასაც მიაღწია. როგორც თ. ლევან მელიქიშვილი, გრიგოლ ორბელიან, გიორგი ერისთავი, ნიკ. ჭავჭავაძე, ნიკ. ამილახვარი და სხვა.

საქართველოს მოძულეთა შორის ორი-სამი პირი—სამშობლოს ქომაგნი იყვნენ. ერისელი გრიგოლ ორბელიანის სახლში შეყრილიყვნენ დიდებული კაცნი, აქვე იყო მათში გ. მუხრანსკი და ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი. ლაპარაკი ასტყდა ქილიხოვსკის ლექციის გამო. აზრებს იცავდა გარუსებული ქართველობა გ. მუხრანსკის მეთაურობით, იცავდა ქილიხოვსკის. მათ საპასუხო სიტყვით მიჰმართა პლატონ იოსელიანმა: „თქვენა ბრძანებთ, რადგანაც ქართველებს მომავალი არა გვაქვსო, ამიტომ ჩვენი გარუსება აუცილებელი იყოს, ბ. გიორგი, საქართველო ძაღლის კუდსა ჰგავს, როგორც ძაღლის კუდი არ გასწორდება, ისე საქართველოს დედა-მიწის პირზედ ვერავინ გასწორდება, ქართველებს ვერავინ აღგვას, ამის მაგალითები ისტორიითაც გვაქვს. საქართველო პირში ჩაიდო შვიდმა ძლიერ სახელმწიფომ, მაგრამ მათ ვერ შესძლეს საქართველოს შეჭმა, ჩაყლაპვის დროს ყელი გაუსქდათ, საქართველო პირიდან ძირს გადმოვარდა. საქართველოს ჩამყლაპავნი კი თვით გასქდნენ და მოისპნენ ისე, რომ დღეს მათი ხსენება საქართველოში კი არა, დედამიწის პირზედაც აღარსად არის.

საქართველომ ზედ გადაიმსხვრია შვიდი სამეფო, დღეს, რუსეთია მორიგი, მოვიცადოთ, ვნახოთ, იქნება საქართველომ ეს მერვე მტერი დაასამაროს.

ეს იყო 1871 წ., მას შემდეგ განვლო 50 წელიწადმა და პლატონ იოსელიანის სიტყვაც შესრულდა. ახლა გვყავს მეცხრე მტერიც—რუსის ბოლშევიკები და სომხები. იმედია, რომ მათაც გადარჩება; გაიგონ, ამის მაგალითები ბევრია.

მოგახსენებთ იმასაც, თუ ამ შენიშვნის შემდეგ რა მოხდა: მალე გ. მუხრანსკი დიდის პენსიით სამსახურიდან გავიდა, და პარიზში დასახლდა. იქ ბოროტი წიგნაკი ფრანგულს ენაზედ გამოსაცემად წიგნად, მაგრამ უყურადღებოდ იქმნა დატოვებული.

გ. მუხრანსკიმ ამ წიგნის გამოცემა თბილისში გამოუგზავნა მეწიგნე ბერნშტაგს, აქაც მკვდრად დარჩა ეს წიგნი. მალე მუხრანსკი პარიზში გარდაიცვალა, მისი გვამი საქართველოში ჩამოიტანეს, მცხეთაში ძველ გმირთა, მწიგნობარ კათალიკოზების ძვლები ამოჰყარეს და ამათ მაგიერ იქ ჩამარხეს გ. მუხრანსკი.

1880 წ. გ. მუხრანსკის თეორიის მიმდევართა რიცხვი სულ მოისპო.

ამავე დროს გადადგა და გაბოსიაკდა გიმნაზიის დირექტორი ქილიხოვსკი, გ. მუხრანსკის პატივისმცემელი, ესეც მალე მოკვდა, ამას მიჰყვა მეწიგნე ბერნშტაგი და შერე გ. მუხრანსკის სიბრძნე, ფრანგული წიგნის 1000 ცალი მეტი მე ვიყიდე ქაღალდის ფასად და სახვევ ქაღალდად გავყიდე.

დღეს აღსრულდა პლატ. იოსელიანის წინასწარმეტყველება და ქართველ ერმა ადვილად მოიშორა მერვე ვეშაპი; მასთან ერთად მანვე დასწვა თვისი უძღები შვილები.

ზაქარია ჭიჭინაძე.

## მცირე განმარტება

ჩვენი გაზეთის 195 ნომერში მოთავსებული იყო შენიშვნა შემდეგი სათაურით: „წესები სახელმწიფო თეატრში“. ამ შენიშვნის გამო საქართველოს პარლამენტის კვესტორმა ბ. ს. ქორქელიანმა გადმოგვცა, რომ მას თვით პარლამენტის პრეზიდიუმის მიერ თეატრის ლოჟაში მიჩენილი აქვს შესაფერი ადგილი რასაც ამტკიცებს სათანადო მოწმობა. ამავე შენიშვნის გამო მილიციის უფროსი ბ. ურუშაძე აცხადებს, რომ მას საკუთარი ადგილი აქვს სახელმწიფო თეატრში: პრეზიდიუმის ლოჟაში მხოლოდ რამდენჯერმე შევიდა ცოტაოდენი ხნით ამა თუ იმ დეპუტატის სანახავად.

## კორესპონდენცია.

### წერილი კახეთიდან.

სადღაა ძველი კახეთი: დინჯი, ნელი, დარბაისელი და მუდამ დოვლათიანი.

კახეთიც აირია, როგორც „მონასტერი“ და მიდის დაქანებულ გზაზე.

რა არა ჰხდება კახეთში ამ ჟამად? —ყველაფერი; შესაძლებელი და შეუძლებელი: ქურდობა, მკვლელობა და სხვ. უწესობა მოიკითხეთ, თორემ წესიერება სხვაგან სად არი რომ აქ მოიკითხოთ?

საღამოთი კარში ვერ გამოხვალთ და ვზივართ სახლში—ვინ იცის, რა არ მოხდეს!—ყველაფერია მოსალოდნელი: ყაჩაღი და ავაზაკი გითვალთვალებს უდანაშაულო მსხვერპლს. ქურდობა გახშირდა, როგორც არსად. იპარავენ ყველაფერს, რაც კი მოჰხვდებათ.

და ამ უსინდისობას, ამ არევდარევას არა ჰყავს პატრონი.

განსაკუთრებით ესა ჰხდება ველისციხეში, ბაკურციხეში გურჯაანში და სხვ.

ადმინისტრაციამ იმდენი ძალა ვერ გამოიჩინა რომ ალაგმოს ავაზაკთა თარეში და მყუდროება დაამყაროს.

ვიტანჯებით უდანაშაულოდ და შეუბრალებლად; ხმა ვერ ამოგვიღია და კარში ვერ გამოვსულვართ.

ადრე, ადრე შველა, თორემ გვიანღა იქნება.

როგორც იყო ჩარჩების ვაჭრობა და ტაციობა დასცხრა და სოფელიც ისვენებს. პური და ღვინო კახეთში წრეულს საკმაოა, ოღონდ წესიერება იყოს და დალაგებული ცხოვრება.

დიდს ყურადღებას იქცევს ილდაკონის ნავთი, ხალხს დიდი იმედი აქვს ნავთისა, რომელსაც ელის შაქართან ერთად ფარცხობა უკვე გავიდა და დიდძალი პურიც ითესება.

ლეკი.

## დარიალის ციხე-სიმაგრე

საქართველოს საზღვარზე დარიალის ძველ ციხეს ჩვენი სამხედრო უწყება ახლად ამაგრებს; ამ ხეობაში ჩამდგარი გერმანულ ჯარის ორი როტა და ერთიც ქართული რაზმისა.. ქართველები აკეთებენ ფორტებს, თხრილებს და სიმაგრეებს ზარბაზნების, ტყვიისმფრქვეველების დასადგმელად მდ. თერგის მარცხენა მხარეზე ძველის თამარ მეფის ციხის ორივე მხარეს (ექვსი ვერსის მანძილზე) მდ. თერგზედ იმართება ციხის ზემოდ ახალი მაგარი ხიდი სამხედრო გზიდან ციხეში მძიმე ზარბაზნების გასატანათ და აქეც უნდა გავიდეს ვერსის მანძილზედ ციხემდის გზა(?)კეცილი. გამოღმა თერგის მარჯვენა მხარეზედ საქართველო სამხედრო გზის მხრით გერმანელთა ჯარი აკეთებს ორ თავშესაფარს ისინიც ლარსიდან 2—3 ვერსზე ჰმართავენ თხრილებს ზარბაზნების ტყვიისმფრქვევლების და თოფების ჩასასაფრებლად. ამით გერმანელებს შეუძლიანთ უზრუნველი ჰყონ ქისტების ძველი საყაჩაღო—მთის ხდის ხეობა (ხდის კარი) მოსალოდინელის ლაშქრისაგან და მტერი ველარ შემოაჰპარონ ჩვენს ქვეყანაში. ამავე დროს მეორე ვერსზე დარიელის ხიდის კარი უნდა გამაგრდეს სამხედრო გზით ისევ გერმანელთაგან თუ ეს ორი უმთავრესი და მტრის მოსალოდინელი მიდამოები გამაგრებული იქმნება გერმანელების მხრით მაშასადამე ჩვენი ქართველის რაზმებსაც უკეთესი სტრატეგიული ადგილები უკავია ხელთ. საქმის მწარმოებელია ინჟ. ვასილ ნასყიდაშვილი, თანაშემწედ ტეხნიკი არსენ ვაჩნაძე. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ სიმაგრეები სადაც-კი ახლათ კეთდება ისეთის მოსაზრებით დაუწყვიათ, როგორც გერმანელებს ასევე ჩვენებს, რომ რაც უნდა ძლიერის ჯარით და იარაღით მოვიდეს მტერი ყოვლად შეუძლებელი იქნება მისთვის დარიალის აღება. მადლობის ღირსნი უნდა იყვნენ კერძოთ ბ. ბ. ნასყიდაშვილი და ვაჩნაძე, რომ გერმანელს სტრატეგებს არა თუ არ ჩამორჩენიან ტეხნიკის და სტრატეგიის ცოდნაში, თითქოს უპირატესობაც ეთქმით. ნასყიდაშვილის გეგმით ამ ციხიდან და მისი მაღლობებიდან ყველა გადმოსავალი ხევები, რუები და ბილიკები სასტიკათ იქნება დაცული სულ მცირე რიცხოვანის ჯარით. მუშაობა ნელა მიდის, რადგანაც მთის ხალხის თიბვა მკა ეხლა არის. მუშა დღეში ჰღირს 10 მან. და ეძლევა სადილი, და ჩაი შაქარი.

კალმის-წვერა.

## სოფ. პატარძეული

ყაჩაღობა გახშირდა, იქავე რუსის სოფელ დრეიძეს დაესხა ხუთმეტი შეიარაღებული. მცხოვრები რუსები სულ გაძარცვეს: ერთმა იქაურმა რუსმა ერთი მათგანი მოჰკლა. მოკლული გარეჯელი როსტიაშვილი გამოდგა.

პატარძეულში არის „კოოპერატივი“ ჯერ-ჯერობით კარგათ წარმოებს მოსამსახურეთა შრომით, მხოლოდ სოფლის მწერალმა და კომისარმა კოოპერატივის ზედამხედველებს დასწამეს ტყუილათ, რომ კოოპერატივის მოწმობით ყიდულობენ და ჰყიდიან ათასნაირ საქონელსა. ეს ხმები გავრცელდა ხალხში და აალევა.

ხანგრძლივმა ომმა შეგვაწუხა. მუშა ხელი ბევრი მოაკლდა. ბევრიც სამუდამოთ გამოასალმა წუთისოფელს. ყაჩაღობა და ამისთანა სისაძაგლე აქეთ მხარეს ძალიან გახშირდა, ხალხი დიდ გაჭირვებას განიცდის...

გარე კახელი.

## წერილი რედ. მიმართ

### სამაგალითო შეწირულება

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ეს წერილი თქვენს პატივცემულ გაზეთში მომითავსოთ.

ცაკალო დავითის ასული ავალიშვილის მეუღლემ თავისი ერთად-ერთი შვილის ალექსანდრე ილიას ძე ავალიშვილის, რომელიც კავკავში 20 აგვისტოს იქმნა დაღუპული, ორმოცი დღის სულის მოსახსენებლად ჩვეულებრივი ხარჯების მაგიერ სოფელ ბრერთს, სადაც პატივცემული ცაკალო სცხოვრობს, ჩემის ხელით გადასცა ოთხასი მანეთი, რისთვისაც ბრეთელებმა დამავალეს მადლობა გამოუცხადო ქალბატონ ცაკალოს გაზეთის საშუალებით.

დიდ მადლობას გიძღვნით, კეთილო ადამიანო ცაკალო, თქვენი კეთილი ქცევისათვის.

ივანე გ. ავალიშვილი.

რედაქტორი გირონტი ქიქოძე.


## განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

**თბილისიდან გადის**

| | | | საათი | წ. |
|---|---|---|---|---|
| ფოთისკენ | № 23 | | 7 | 50 |
| „ | № 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9/10 | საღამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 10 |
| „ | № 8 | დღის | 3 | 35 |
| სანაინისკენ | № 4/30 | დღის | 1 | — |

**თბილისში მოვა**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთიდან | № 24 | შუადღ. | 12 | 47 |
| „ | № 4 | საღამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11/12 | დილის | 6 | 53 |
| განჯიდან | № 3 | საღამ. | 4 | 30 |
| „ | № 7 | დღის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № 40/3 | დილის | 11 | — |

თბილისის დროით.

# ამიერ-კავკასიის ბანკი

## მეორე გამოცემის აქციებზე ხელის მოწერა

თანახმად ამიერ-კავკასიის ბანკის აქციონერთა საგანგებო საზოგადო კრების ამა წლის 14 იანვრის დადგენილებისა და ფინანსთა მინისტრის ნებართვისა, ამიერ-კავკასიის ბანკი ადიდებს ძირითად თანხას **3,000,000 მანეთიდან 6,000,000 მანეთამდე 12,000** აქციათა მეორე გამოცემით, თითო აქციის ოცდახუთ თუმნის ნორმალური ღირებულებით შემდეგი პირობით:

1) **გამოსაცემი ფასი** ამ აქციებისა დანიშნულია **300 მანეთი**—თითო აქციაზე, რომელი თანხაც სრულად უნდა გადახდილ იქნეს აქციაზე ხელის მოწერის დროს.

2) შემოსული ფულიდან: ოცდახუთი თუმანი ჩაირიცხება ძირითად თანხაში. ოთხი თუმანი სათადარიგო თანხაში და დანარჩენი ერთი თუმანი აქციის დასამზადებელ ხარჯებისა და მისი სალერბო გადასახადის ასანაზღაურებლად.

3) უპირატესობა გამოსაცემ აქციათა მეპატრონეთ: **ძველ აქციაზე დაეთმობათ თითო ახალი აქცია.**

4) მეორე გამოცემის აქციებზე ხელის მოწერა დაიწყება **1918 წლის 1 ოქტომბრიდან** ქვემოთ ჩამოთვლილ საკრედიტო დაწესებულებებში და გაგრძელდება: ა) **თბილისში**, ამიერ-კავკასიის ბანკში **1918 წლის 1 დეკემბრამდე** **ბ) ქუთაისში, სამტრედიაში, ფოთში, სოხუმში, ოზურგეთში, სიღნაღში, გორში, ხონში, სენაკში, ყვირილაში, კავკავში** საურთიერთო ნდობის საზოგადოებებში და ბაქოში—**ნ. ჯაყელთან 1918 წლის 15 ნოემბრამდე.**

5) როდესაც ბანკის ახლანდელი აქციონერები დაკმაყოფილებული იქნებიან **თითო აქციით ყოველ ძველ აქციაზე**, გაუნაღდებელი აქციათა შეძენის უპირატესობა ენიჭებათ პირველი გამოცემის აქციების ხელის მომწერლებს, რომელთაც დაკვეთილი აქციათა ღირებულების პირველი ნახევარი შემოტანილი აქვთ და მეორე ნახევარი არ შემოიტანეს, რის გამოც დაეკარგათ აქციების შეძენის უფლება.

ამ პირებმა შესაფერი განცხადება და აქციათა ფასი უნდა წარუდგინონ მეოთხე მუხლში ჩამოთვლილ საკრედიტო დაწესებულებებს და პირს იქვე აღნიშნულ დროს განმავლობაში.

6) გაუნაღდებელი აქციები, მას შემდეგ, როდესაც 5-ე მუხლის თანახმად დაკმაყოფილებული იქნებიან ის პირნი, რომელთაც აქციათა შეძენის უფლება დაკარგული ქონდათ, განაწილდება პირველი გამოცემის აქციათა მეპატრონეთა შორის; ამათ მე 4-ე მუხლში აღნიშნულ ვადაში უნდა განაცხადონ თუ რამდენი აქციის შეძენა სურთ მეორე გამოცემის პირობების თანახმად; თუ მათ მიერ მოთხოვნილი აქციათა საერთო რიცხვი აღემატება გაუნაღდებელი აქციათა რაოდენობას, იმ შემთხვევაში განცხადებების ძალით და პირველი გამოცემის წარმოდგენილ აქციების მიხედვით მოხდება აქციების შესაფერი განაწილება.

7) აქციებზე ხელის მოწერის დროს აქციონერები მოვალენი არიან თავიანთი დროებითი მოწმობები ცალკე განცხადებასთან წარმოადგინონ შესაფერი ბეჭდის დასასმელად.

8) ხელის მომწერლებს, რომელთაც დაკარგული აქვთ პირველი გამოცემის აქციათა შეძენის უფლება და სურთ ისარგებლონ 5-ე მუხლში აღნიშნულ უფლებით აქციათა მეორე გამოცემის დროს, ვალდებულნი არიან საორგანიზაციო კომიტეტის „კვიტანცი“ები წარმოადგინონ შესაფერი ბეჭდის დასასმელად.

9) ის პირნი, რომელნიც აღნიშნულ ვადაში არ წარმოადგენენ განცხადებებს მოწმობებით და „კვიტანცი“ებით და აღნიშნულ ვადაში სრულიად არ გადაიხდიან აქციათა ღირებულებას, მეორე გამოცემის აქციათა შეძენის უფლებას კარგვენ.

10) ახალი აქციონერები ბანკის **მოგებაში (დივიდენდი) იღებენ მონაწილეობას 1919 წლის პირველ იანვრიდან ისე**, როგორც პირველი გამოცემის აქციათა მეპატრონეები.

11) აქციათა ფასების მიღებაში აქციონერებს მიეცემათ „კვიტანცი“ები, რომლებიც ხელის მოწერის გათავებისა და აქციათა განაწილების შემდეგ შეიცვლება ნამდვილი აქციებით.

**შენიშვნა:** ნამდვილი აქციები იბეჭდება საქართველოს რესპუბლიკის ექსპედიციაში და დამზადებული იქნებიან **1918 წლის 1-ლ ნოემბრისათვის.** 10—4

## კერძო სამკურნალო

### ექ ა დ ალ ქა ძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:

**გ. მ. რეხვია**—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.

**მ. მ. ტყემალაძე**—კანის და ვენერიულ. სნეულ. (607—914 ანალიზ) 11—12 ს.

**ი. ა. ლაზარევი**—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

**ნ. თ. ანდრონიკაშვილი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

**ა. დ. ალექსიძე**—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

**მ. ნ. იმნაძე**—ყელ, ყურის და ცხვირის ავადმყოფობანი 46 ს.

**ს. გ. ჯაფარიძე**—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

**ი. ა. ხათრიძე**—ბაქტერიოლოგი—სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის სისხლის, ნახველისა და სხვა).

ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—49.

სამკურნალოს დირექტორი ექიმი ა. დ. ალექსიძე.

## ეროვნულ დემოკრატი

### 1-ლ გიმნაზიის, 2-ს, 7-სა და სემინარიის მოსწავლენი

### უნდა გამოცხადნენ პარტიის ბიუროში

(სასახლის ქუჩა)

ხუთშაბათს, ღვინობისთვის 24-ს, საღამოს ექვსს საათზე.

განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები.

**დასწრება აუცილებელია.**

ტფ. ერ.-დემ. მოწ. ცენტრ. კომიტეტი. (2—1).

## ეროვნულ დემოკრატი

### ქალთა სასწავლებლის მოსწავლენი

### უნდა გამოცხადნენ პარტიულ ბიუროში

(სასახლის ქუჩა).

პარასკევს ღვინობისთვის 25-ს, საღამოს 6 საათზე.

განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები.

**დასწრება აუცილებელია.**

ტფილისის ერ.-დ. მოწ. ცენტრ. კომიტეტი. (3—1).

## ქართულის კარგი მცოდნე

კისრულობს: მოხსენებათა, პროექტბის, წერილების წესდებათა და სხვა ქაღალდების თარგმნას.

**მიჰმართეთ** „საქართველოს“ რედაქციაში მდივანს, დილის, 9 სათიდან 3 საათამდე. საღამოობით წყნეთის ქუჩა № 30. (1—1022—1

## ინტელიგენტ ქალთა წრე

**ღებს შესაკერავებს** როგორც საზეიმო, აგრეთვე საშინაო და საგარეო კაბებისას და „კოსტიუმებისა“-ს როგორც მოზრდილთათვის, აგრეთვე ბავშვთათვის, ყოველგვარ მხატვრულ საქარგავ-საქსოვებს. „წრის“ სკოლაში მოწაფეებთან მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბრიდან; მოწაფეების მიღება უკვე სწარმოებს (ღარიბები უფასოთ). აქვე მიიღება „მერეჟკები“. სკოლა უფლებებით აღჭურვილია. ვერის დაღმართი, სახლი № 3, ბინა 9. შესავალი წიგნის მაღაზიის გვერდით. 10—10

### ექიმი
## ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია და მასსაჟი

**მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად.

თ.—1536—50

### ქალ. ქუთაისში

მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა

### ქირ. და ქალთა სნეულების

## საავადმყოფო

### სამშობიარო განყოფილებ.

მწოლარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. 15—1739—11

### სამკურნალო კაბინეტი ექიმის

### ალექსანდრე დავითის ძის

## კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

### მარტის 20 გაიხსნა ახალი

## სამკურნალო

**მომსვლელ ავადმყოფთათვის ექიმ ი. გ. მაისურაძისა და ლ. გ. ნაზარბეგიანცის**

საავადმყოფოში იარსებებს კბილის **საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.**

მიხეილის პროსპექტის („კიროჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

**ვენერიულ** ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

**ღარიბები მიიღებიან კვირაობით,** 10—12-მდე უფასოდ.

### მედიცინის დოქტორი
### ბერლინის უნივერსიტეტისა
## გ. გ. მეგრაბიანცი

**ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.**

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

### გაიხსნა
## თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

## ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

ტელეფონი 5—97.

### ექიმი
## შ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე, გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის“ ახლოს.

### დოქტორი მედიცინისა

## ჯანდარიშვილი

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.


სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 1.